*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლა*

**ეექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ეკა თაბუაშვილი

წევრები:

ეთერ მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი,წევრი

ანა ტაბატაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი

თამარ ბეჟუაშვილი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,წევრი

ნათია ქათამაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,წევრი

ეკა მოსიაშვილი-ესთეთიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი

ნადია დაბრუნდაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,წევრი

ნანა შალამბერიძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,წევრი

თამარ მურუსიძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,წევრი

გიორგი კოპლატაძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი,წევრი

ნინო ჭიჭინაძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო-სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 223104352 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ასპინძის მუნიციპალიტეტი,სოფელი ტოლოში |
| ფაქტობრივი მისამართი | ასპინძა.ტოლოში |
| საფოსტო ინდექსი | 0500 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/1785?school |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | toloshi@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577647547 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2025 წლის 23 ივნისის №723439 MES 1 25 0000797457 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 30-31ივლისი.2025 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული | ასპინძის მუნიციპალიტეტი სოფელი ტოლოში 1შენობა |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ასპინძის მუნიციპალიტეტი სოფელი ტოლოში 1შენობა |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ასპინძის მუნიციპალიტეტი სოფელი ტოლოში 1შენობა |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 23 ივნისის №723439 MES 1 25 0000797457 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების

მიზნით 2025 წლის 30 და 31ივლისსს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლაში. მისამართი; ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტოლოში. ვიზიტის ეფექტიანი წარმართვის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განსაზღვრა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაეცნენ სკოლის ინფრასტრუქტურას, გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 160 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| სტანდარტი N1 | სკოლის ფილოსოფია | ხარვეზი |
|---|---|---|
| ინდიკატორი N | | |
| | | |
| სტანდარტი N3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ხარვეზი |
| ინდიკატორი N | | |
| | | |
| | | |
| სტანდარტი N4 | მოსწავლეთა მხარდაჭერა | ხარვეზი |
| ინდიკატორი N | | |
| | | |
| | | |
| | | |

| სტანდარტი N2 | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ხარვეზი |
|---|---|---|
| ინდიკატორი N | | |
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *3.1.2.4* | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს დაწყებითი I-IVკლასებში სპორტის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების III-IV კლასებში, ინგლისურისა და ხელოვნების სწავლება კომპეტენცია დადასტურებული პედაგოგების მიერ. |
| *3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების | 2026 წლის 27 აგვისტომდე მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა |

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | |
| *სტანდარტი N4* | *მოსწავლეთა მხარდაჭერა* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 2.2.2.4* | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პერსონალის აყვანა |
| | | |
| | | |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *3.1.2.4* | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს, დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვით კვალიფიციური პედაგოგების შერჩევა. |
| *3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო | აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად. |

| | | |
|---|---|---|
| | ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში) | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N. 2.1.2.1* | | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე, თითოეულ კურიკულუმს თან ჰქონდეს დართული კონკრეტული დავალების/დავალებების სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შემუშავებული შეფასების რუბრიკა შესაბამისი კრიტერიუმებით.<br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში ჩანდეს მაგალითი შედარებისათვის და კონტექსტ მაგალითები.<br>**დაწყებითი კლასები:** ბუნებისმეტყველების კურიკულუმში II, III, IV კლასში სასწავლო თემების გრაფაში, გაიწეროს ესგ–ში მოცემული სავალდებულო თემები, არსებული შეიცვალოს და მოერგოს სტანდარტს. |
| *2.1.2.2* | | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია რომ ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმი იყოს ერთი ტიპის, ცნებები და ქვეცნები იყოს |

| | | |
|---|---|---|
| | | შესაბამისობაში ყველა საგნობრივ ჯგუფში. ასევე არ არის საჭირო აქტივობების განთავსება კურუკულუმის ჩარჩოში.<br>**ესთეტიკური აღზრდა:** დაიგეგმოს პროექტები/აქტივობები სხვა საგნებთან ინტეგრირებით<br>**სახელმწიფო ენა:** სამივე საფეხურზე კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები, მათში სათნადოდ აისახოს და დამუშავდეს თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.<br><br>**მათემატიკა:** სასურველია გადაიხედოს მე-4 კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად (შესაბამისი ტერმინოლოგიით)<br>**დაწყებითი კლასები:**<br>მე და საზოგადოების თითოეულ თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კურიკულუმში დაკორექტირდეს და დაინერგოს პრაქტიკაშიც.<br>ბუნებისმეტყველების კურიკულუმში I კლასში აისახოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები. |
| *2.1.2.3* | | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია მასწავლებლის მიერ გაკეთებული რესურსები მეტად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში<br>**ესთეტიკური აღზრდა:** მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები.<br>**სახელმწიფო ენა:** სასურველია, (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო |

| | | |
|---|---|---|
| | | მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.<br>**დაწყებითი კლასები:**<br>დაწყებითი კლასების პედაგოგებმა პრაქტიკაში გამოყენებული რესურსები ასახონ კურიკულუმშიც. |
| *2.1.2.4* | | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია მოსწავლეთა ინკლუზიური მიდგომა გამოჩნდეს კომპლექსური ან კომპლექსური დავალებების შესრულებისას, მაგალითად ალტერნატიული დავალებით. საგაკვეთილო აქტივობები გაწერილი იყოს მცირე გეგმით |
| *2.1.2.5* | | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია რომ, ყველა კლასის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგანებში განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები სრულად იყოს მორგებული კონკრეტული საგნის სამიზნე ცნებებს.<br>**უცხოური ენები:** სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.<br>**ესთეტიკური აღზრდა:** ესთეტიკური აღზრდის კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ დაწყებით და საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში;<br>**სახელმწიფო ენა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სამივე საფეხურზე გამოკვეთეთ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.<br>**მათემატიკა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, |

| | | |
|---|---|---|
| | | როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. |
| *2.2.1.3* | | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია არსებობდეს მოსწავლის უკეთ შეფასებისათვის კონკრეტულ აქტივობებს მორგებული შეფასების რუბრიკები. ასევე სასურველია შემაჯამებელი დავალების რუბრიკები, სადაც კონკრეტული საკითხის ცოდნა გამოჩნდება ცნებასთან მიმართებით.<br>**სახელმწიფო ენა:** საბაზო და საშუალო საფეხურზე წერითი დავალების განმსაზღვრელი შეფასებისას მოსწავლეს დაუზუსტდეს ქულები კრიტერიუმების მიხედვით.<br>**მათემატიკა:** მიუხედავად წარმოდგენილი (ზემოთ აღნიშნული) შეფასების რუბრიკებისა, ზოგიერთი რუბრიკა ზოგადია, მაგალითად: შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, სასურველია გადაიხედოს რომ შეესაბამებოდეს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს, რომ გამორიცხოს სუბიექტური / შემთხვევითი ფაქტების გავლენა. |
| *2.2.2.1* | | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგნისა და კლასის კურუკულუმში ასახული იყოს ძირითადი და დამხმარე რესურსების სავარაუდო ჩამონათვალი.<br>**სახელმწიფო ენა: დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები.<br>**დაწყებითი კლასები:** |

| | | |
|---|---|---|
| | | კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. |
| *2.2.2.2* | | **მათემატიკა:** იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც სკოლისათვის მისაღებია პროექტში ასახული რჩევები, რომელთაც გაითვალისწინებს სასწავლო პროცესში მომდევნო სასწავლო წლიდან, ხოლო მიღებული რეკომენდაციების შესრულებას სკოლა გეგმავს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლას, შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმასა და 2023-2030 სტრატეგიულ განვითარების გეგმაში. მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. 2024-2025 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლის მისიაა: თითოეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარება და მხარდაჭერა ინდივიდუალურად მორგებული, ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს საშუალებით. ჩვენ ვუზრუნველვყოფთ მოსწავლეთა სრულფასოვან პიროვნულ, აკადემიურ და სოციალურ განვითარებას. მცირე სასკოლო საზოგადოება საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებს შევუქმნათ უსაფრთხო, მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობებზე დაფუძნებული სასწავლო გარემო. მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ვუზრუნველყოფთ მათში მაღალი სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატება პატრიოტიზმში, საკუთარი ენის, ისტორიისა და კულტურის პატივისცემაში. ასევე, ვუვითარებთ იმ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა, პროგრესული აზროვნება და გლობალური მოქალაქეობა. ეს ყველაფერი მათ დაეხმარება ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებლად მოაზროვნე, მაძიებელ, ინფორმირებულ, პასუხისმგებლიან და უწყვეტი განვითარების უნარის მქონე ადამიანებად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლა, 2023-2030 სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ერთ-ერთ სრატეგიულ მიმართულებად განსაზღვრულია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რომლის განხორცილების შედეგად, სკოლაში ხელი შეეწყობა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზებას, სკოლაში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო და სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი.

სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სასკოლო სასწავლო გეგმა და მასში ასახული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები 2023წლის 06 სექტემბერს დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს N 1 სხდომაზე,

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმასა და შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის დირექტორის 04.09 .2023წლის N 41/2 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულ მხარეებს და შემუშავებული დოკუმენტების გაზიარების მექანიზმებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე განთავსებულია სკოლის საჯარო სივრცეში თვალსაჩინო ადგილას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მიხედვით. სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ასპინძის მუნციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლა“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023-2030სტრატეგიულ განვითარების გეგმა;
- 2024-2025 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2024 წლის 06 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N 1 ოქმი;

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023 წელს. სამოქმედო გეგმების შემუშავების წესი/მეთოდოლოგია 2023 წლის 4 სექტემბერს41/2 ბრძანებით აქვს დამტკიცებული სკოლის დირექტორს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მიხედვით, სკოლა გეგმავს ყოველწლიურად SWOT ანალიზის გამოყენებით განსაზღვროს სუსტი და ძლიერი მხარეები, მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით დაადგინოს საჭიროებები და დაგეგმოს შემდგომი აქტივობები. საჭიროებების დადგენაში მონაწილეობას მიიღებენ:

- სკოლის დირექცია;
- სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- სამეურვეო საბჭო;
- თემი.

მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს გაზიარების მექანიზმებს. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სკოლის ვებ-გვერდს, სოციალურ მედიას და ბეჭდურ მასალებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, იგი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). წარმოდგენილი დოკუმენტით 2023-2030სასწავლო წლებში სკოლა იმუშავებს შემდეგი მიმართულებით:

- სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა
- კვალიფიციური კადრების მოზიდვა
- არაფორმალლური განათლების გაძლიერება
- ციფრული ტრანსფორმირება

თითოეული მიმართულება თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად, რომლებიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 06 სექტემბრის N 1 ოქმით დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული ოქმის მიხედვით, სამოქმედო გეგმა ეფუძნება 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებს. თუმცა რიგი საკითხებისა ნაწილობრივ თანხვედრაშია სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიმართულებებსა და ამოცანებთან, მაგალითად ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთერთი მიზანი მშობელთა ჩართულობის გაზრდაა, თუმცა აღნიშნულის შესახებ არაა საუბარი სტრატეგიულ გეგმაში, გასათვალიწინებელია რომ გასულ სასწავლო წელს ჩატარებული კვლევის ანალიზის შედეგად სკოლამ დაადგინა რომ მშობელთა ჩართულობა, კვლევის მონაწილეებმა ერთერთ სუსტ მხარედ დაასახელეს, ამიტომაც სკოლამ მიზნად დაისახა გამოკვეთილი სუსტი მხარის გამოსწორება

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის მიერ წარმოადგენილი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 06 სექტემბრის N 1 ოქმით, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*
- . 2023-2030 სტრატეგიულ განვითარების გეგმა;
- 2024-2025 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს N 1ოქმი .06.09.2024

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტისას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექცია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს აწარმოებს სკოლაში მოქმედი სხვადასხვა

სტუქტურული ერთეულების მონაწილეობით, წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, პედაგოგიური საბჭოს 06.09.2025 წლის N 1 ოქმი, რომელშიც მეოთხე საკითხად მოცემულია 2023-2024 ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების გაცნობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში, თავი 12 მოიცავს ისეთ საკითხების განხილვას, როგორიცაა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. მასში დეტალურადაა აღწერილი, რა ნაბიჯებს გადადგავს სკოლა მონიტორინგისა და შეფასების პროცესების წარმატებით განხორციელებისათვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების წესი დამტკიცებულია 2023 წლის 4 სექტემბრის N 41/02 ბრძანებით, აღნიშნული ბრძანების შესაბამისად სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებისას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების, ასევე სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი ჯერ არ განხორციელებულა, რაც შეეხება სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ცნობილია სასკოლო სზოგადოებისათვის, კათედრის სხდომებზე განხილული და შეჯამებულია სასწავლო წლის მუშაობა, ასევე პედსაბჭოს სხდომაზე დირექტორს წარმოდგენილი აქვს ანგარიში, სადაც დეტალურადაა განხილული შესრულებული საკითხები, ასევე თუ რა გამოწვევების წინაშე დგას სასკოლო საზოგადოება. სკოლა აქტიურად გეგმავს სკოლის ვებ-გვერდის გამოყენებას, შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გამოქვეყნდება საჯაროდ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სამოქმედო გეგმის შედეგებს სკოლა განიხილავს პედსაბჭოსა და კათედრის სხდომებზე, ასევე ატარებს კვლევებს საჭიროებების დასადგენად, რომელსაც სკოლა გამოიყენებს შემდგომი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის დაგეგმვის პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2024 წლის 06 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N 4 ოქმი;
- მისისიის,ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების წესი
- *კათედრის სხდომის ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების კითხვარისა და ვიზიტის დროს გაცნობილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში მოქმედებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინურ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, 5 საგნობრივი კათედრა. აღნიშნულ სტუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქციები ძირითადად ეყრდნობა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსსა და „ეროვნული სასაწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შინაარსს. დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, დარაჯები და დამლაგებლები. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. თითოეული დასაქმებული ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას და ხელმოწერამდე ეცნობა ხელშეკრულებას

**ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულები და თანამშრომელთა თანამდებობრივი ვალდებულებები გადანაწილებულია და გაწერილია სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესში, დებულებებში და შრომით ხელშეკრულებებში. თითოეული მათგანი, კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს საკუთარ მოვალეობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში. საშტატო განრიგით დამტკიცებულ პოზიცებზე მომუშავე ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არ არის გაწერილი პოზიციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. მატერიალური ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით, ხოლო დირექტორის მოადგილესთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საშტატო განრიგი
- შრომითი ხელშეკრულებები
- დირექტორის ბრძანება
- შინაგანაწესი

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განხილულულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე N1.5.09.23. დოკუმენტით გაწერილია შემდეგი საკითხები: კადრების მოზიდვა და პერსონალის შერჩევა; პერსონალის დანიშვნა; თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები - ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან და მათი ეფექტურად ჩართვა სამუშაო პროცესში; ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა და პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის წახალისება და მოტივაციის ამაღლება. შინაგანაწესში ვხვდებით პერსონალის მართვის პროცესების რეგულაციებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმებს, საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პერსონალში შედის: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი. მრჩეველთა საბჭო, სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურებისა და თანამშრომლების უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და შრომით ხელშეკრულებებში.

სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები:

უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; ხოლო იმ მასწავლებლებს, რომლებსაც არ აქვთ დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია კონკურსის გზით, შესაბამისი კადრის შერჩევამდე პერიოდი.

ხელშეკრულებებში განსაზღვრული მათი ფუნქცია-მოვალეობები და მათი პროფესიული ვალდებულებები განსხვავებულია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბრძანება N 27.02.06.2025 პერსონალის მართვის პოლიტიკა, ასევე ბრძანება N29.03.06.2025 დამტკიცებულია პერსონალის ადაპტაციის გეგმა. შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში პრევენციულ ღონისძიებებს. კერძოდ: დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს ან დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. თითოეული დასაქმებული სამუშაო ადგილზე გამოცხადებას, სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვებას აფიქსირებს სპეცილალურ ჟურნალში. სკოლის დირექტორის მოადგილე აკონტროლებს, ასევე უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, საგაკვეთილო ცხრილის გადანაცვლებას, აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს სადაც ახდენს ჩანაწერების წარმოებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური

რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი. სკოლაში მასწავლებლის / მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების შემთხვევაში ცხადდება ღია კონკურსი.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ღია კონკურსის ეტაპებს:

1. განაცხადების გადარჩევა;
2. შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება;
3. კონკურსის შედეგების განსაზღვრა.

სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევა ხორციელდება სკოლის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლების ვაკანსიების გვერდი. ასევე გაეცნო სკოლის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო მასალებს, რითაც დადგინდა რომ, მიუხედავად იმისა რომ სკოლაში რამოდენიმე საგანს (ხელოვნება, კომპიუტერული ტექნოლოგიები, სპორტი, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება-დაწყებით საფეხურზე, ინგლისური) ასწავლიდნენ უსტატუსო მასწავლებლები, კონკურსი არ გამოცხადებულა 2022 წლის შემდეგ. უსტატუსო მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადად განსაზღვრულია კონკურსის გზით ვაკანსიის შევსებამდე მითითებული ვადა.

სკოლის მხრიდან დარღვეული იყო პერსონალის შერჩევის პროცედურები, რადგან, მიუხედავად საჭიროების, სკოლას 2024-2025 სასწავლო წლის მიმდინარეობისას არ ჰქონდა გამოცხადებული ღია კონკურსი აღნიშნულ საგნებში. პირადი საქმეების შესწავლისას, სკოლის პერსონალის პირად საქმეებში განთავსებული იყო სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა, ნარკოლოგიური აღრიცხვის შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის კვალიფიკაცია წარმოდგენილი ყველა თანამშრომლის შრომით ხელშეკრულებების და პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე, სკოლაში დასაქმებულია 20 პედაგოგი. 16 უფროსი მასწავლებელი, 4 უსტატუსო. სკოლაში ვიზიტის დროს დაწყებითი I-IVკლასებში სპორტს, ქართულ ენას და ლიტერატურას, მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას III-IV კლასებში, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინგლისურსა და ხელოვნებას ასწავლიდნენ პედაგოგები, რომელთაც აღნიშნულ საგნებში არ ჰქონდათ საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც შესაბამისი კადრის აყვანას უზრუნველყოფს 2026 წლის 1 სექტემბრამდე, ასევე წარმოადგინა 2025 წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული ღია კონკურსის მასალები, სადაც ჩანს რომ სკოლამ ვერ მოახერხა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის აყვანა, ამიტომ ღია კონკურსი კვლავ გამოაცხადა 2025 წლის 04.09-10.09 ვადებში.

**რეკომენდაცია: 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს** დაწყებითი I-IVკლასებში სპორტის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების III-IV კლასებში, ინგლისურსა და ხელოვნების სწავლება საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული პედაგოგების მიერ.

**სკოლას მიეცა რჩევა:** 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს, დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაცვით კვალიფიციური პედაგოგების შერჩევა.

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში დამკვიდრებული პერსონალის მართვის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის მართვაში იკვეთება მართვის მონაწილეობითი სტილი პერსონალის ჩართულობა და თანამშრომლობა დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის

პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ხდება, სკოლაში ახლად დასაქმებული კადრის სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაცია. სკოლის სტრუქტურული ერთეულის წევრები მუშაობენ თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებსა და საჭიროებებს. საგნობრივ კათედრებზე იგეგმება სამოქმედო გეგმების შემუშავება, კურიკულუმების შემუშავება/გადახედვა, კათედრის წევრების გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, ჩატარებული გაკვეთილების შემდეგ კათედრის სხდომაზე ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოცდილების გაზიარება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმები. პედაგოგიური საბჭოს 06.09.2024 წლის N 1 ოქმის დღის წესრიგით გათვალისწინებულია პედაგოგიური საბჭოს წლიური სამუშაო გეგმის/განრიგის დამტკიცება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვა დამტკიცება, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა და დამტკიცება. პოზიტიური სასწავლო გარემო სკოლას ძლიერ მხარედ აქვს მითითებული SWOT ანალიზში და ეს გამოჩნდა თანამშრომლებთან შეხვედრა-გასაუბრების დროს. სკოლამ წარმოადგინა გუნდური მუშაობის დამადასტურებლად კოლეგიალური ორგანოების (პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების და სხვა) შეხვედრების ოქმები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მეათე მუხლის თანახმად, სკოლაში პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომითი ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი

- 2024 წლის 06 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს N 1 ოქმი
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- პერსონალის ადაპტაციის გეგმა
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- 2025 წლის 5.09.2023 წლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას 2023 წლის 5 სექტემბერს მოწვეულ სამეურვეო საბჭოს პირველივე სხდომაზე დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს საჭიროებების დადგენის გარკვეულ მექანიზმებს. კერძოდ, დოკუმენტის მე-20 მუხლი ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება ითვალისწინებს დასაქმებულთა მიზნობრივი პროფესიული განვითრების დაგეგმვასა და განხორციელებას. სკოლა მზადაა შესთავაზოს მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისები. აღნიშნულ დოკუმენტში

გათვალისწინებულია სკოლის მიერ პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასება, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N41/3 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესსა და პირობებს. დოკუმენტი ითვალსწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვებას, შეფასებას და უკუკავშირის მიცემას. აღნიშნული მექანიზმი იძლევა მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია, რომ სკოლას აქვს საგაკვეთილო ურთიერთდასწრების და ურთიერთშეფასების პრაქტიკა. აღნიშნული დოკუმენტით სკოლას განსაზღვრული აქვს სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის დადგენა, მისი ფუნქციიდან და დაკისრებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლოა განხორციელდეს რამოდენიმე ფორმით, მათ შორის, უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასებით, სასკოლო საზოგადოების მიერ შესაბამისი კითხვარებით, გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ, უშუალოდ სამუშაო პროცესზე დაკვირვებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა გამოვლენილ საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან, 2024-2025 სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს ადამიანურ რესურსების მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა და თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა. სკოლის ბაზაზე მასწავლებლების თანამშრომლობითი კულტურა მაღალია. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, კათედრაზე ერთობლივად გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, აკეთებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, მსჯელობენ სწავლა-სწავლების პროცესში რესურსების შექმნასა და გამოყენებაზე, ადგენენ შეფასების რუბრიკებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ცდილობს უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. პედაგოგები ხშირად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, სწავლების სხვადასხვა მეთოდების, რესურსებისა თუ ლიტერატურის გაცნობას. პედაგოგები გადიან სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ/აღიარებულ ტრენინგ კურსებს. მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მეოცე მუხლი ეხება თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად: სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: 1. მოქნილობა; 2. სწავლის მხარდაჭერა; 3. შეფასება, როოგორც სწავლის საშუალება; 4. უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება“.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები ახალი თანაშმრომლის ადაპტაციის მიზნით, ადაპტაციის აქტივობები და ეტაპები. ახალი თანამშრომლის სწრაფად ადაპტაციისთვის სკოლა მას აცნობს სასკოლო გარემოს, კულტურას, სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, წარუდგენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ამატებს საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით, სკოლა მხარს უჭერს მასწავლებლების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გამოიხატება როგორც სკოლის შიგნით განსახორციელებელი აქტივობებით, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ინიციატივების წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- ხარისხის განვითრებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის ოქმი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სკოლის სხვა ნორმატიული აქტებით. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, ხარისხის უზრუნველყოფის წესს, სკოლაში მიმდინარე პროცესების რისკების შეფასებას, შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული როგორც მმართველობითი, ასევე დამხმარე პროცესები, რომელიც აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. გაწერილია დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამები კათედრის მუშაობის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა და სხვა დამხმარე პროცესები, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად წარმართვას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული გასაჩივრების წესის შესაბამისად. ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი აზრი და პრეტენზია. სკოლა ცდილობს შექმნას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმის სივრცე როგორც მასწავლებლის, მოსწავლის, მშობლის, ასევე სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის. დისციპლინური წარმოების წესი მოსწავლეებისა და თანამშრომლების მიმართ მოცემულია სკოლის შინაგანაწესში (დისციპლინური დევნა, დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი და სხვა). შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადების და საჩივრის განხილვის წესი. მასში მითითებულია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულ დოკუმენტი შეიცავს გასაჩივრების კონკრეტულ მექანიზმებს, დაკონკრეტებულია საჩივრის წერილობითი ფორმის შემადგენლობა და გასაჩივრების ვადები, ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განცხადება/საჩივარი და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც მკაფიოდაა გაწერილი სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს უფლებებსა და მოვალეობებს. დისციპლინური დევნა ეყრდნობა კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგანაწესში ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. მშობელთან გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება, მშობლები ინფორმირებული არიან მათი კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მშობელთა კრებებზე დამრიგებლების მიერ გაცემული ინფორმაციების მეშვეობით. თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით: სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, გამოყოფილი ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ჰყავს ექთანი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა

უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, თანამდებობრივი ინსტრუქციების და სკოლის შინაგანაწესის გაცნობით, დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- . შინაგანაწესი
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- საქმისწარმოების დებულება
- მშობელთა კრების ოქმი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- საჩივრის განხილვის წესი

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი, დახურული ჯგუფები, სკოლის ვებ-პორტალი, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო საკითხებთან მიმართებით. დამრიგებელთა თქმით, მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც

აკადემიური მოსწრების, ისე ქცევის შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში მოქმედებს კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები. აღნიშნული კოლეგიალური ორგანოები კანონმდებლობის შესაბამისად ჩართულნი არიან სასკოლო ცხოვრებაში. პედაგოგიურ საბჭოში გაწევრიანებულია ყველა პედაგოგი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების დაგეგმვასა და წარმართვაში. სკოლის კოლეგიალური ორგანოები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში, რასაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა: სკოლის ბიუჯეტის, შინაგანაწესის, სასკოლო კურიკულუმის დამტკიცება და სხვა. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმში, დღის წესრიგი მოიცავს სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო წლიური გეგმის დამტკიცებას, შესყიდვების გეგმის შეთანხმებას, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებას და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

დირექტორის ბრძანებით სკოლაში გამოყოფილია უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია უზრუნველყოს უსაფრთხოება სკოლის ტერიტორიაზე . სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოკრულია სკოლის დერეფანში.
სკოლის გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება მორიგე მასწავლებლის და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. სკოლიდან მოსწავლის გაშვება საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე ხდება კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებთანაც გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულებები.
სკოლას შემოვლებული აქვს კაპიტალური რკინის ღობე, რითაც სკოლა გამიჯნულია მოსახლეობისა და სამანქანო გზისგან, დაცულია გარეშე საფრთხეებისაგან, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლის დერეფნებში განთავსებულია

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (სახანძრო სტენდი ორივე სართულზე, სართულის ფოიეში და ცეცხლმაქრები ორივე სართულზე). საევაკუაციო გეგმები გამოკრულია შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას. სკოლას აქვს საევაკუაციო კარებები, ასევე მეორე სართულიდან გამომავალი საევაკუაციო კიბე.

სკოლის დირექტორის მიერ გაგზავნილია წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, სადაც ითხოვს სახანძრო უსაფრთხოების შესწავლას. ადგილზე ვიზიტისას გაირკვა რომ დირექტორსა და შესაბამისი უწყების წარმომადგენელს შორის განხორციელდა სატელეფონო ზარი, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ სახანძრო უსაფრთხოების შემოწმება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა სკოლას ექნება არსებული შენობის მიღება-ჩაბარების აქტი და დასრულებული იქნება ყოველგვარი სარემონტო სამუშაო.

სკოლა სრულად აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით, დამონტაჟებულია 16 შიდა და 16 გარე სამეთვალყურეო კამერა. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი შესაბამის უწყებასთან სკოლის მდგრადობის დასკვნის მომზადების მოთხოვნასთან დაკავშირებით შესახებ. ადგილზე ვიზიტისას გაირკვა რომ, სკოლაში უკვე იმყოფებოდნენ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები, დაათვალიერეს და შეისწავლეს შენობა-ნაგებობა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,სადაც ასახულია:

1. სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით (წერილი N 624266 გაგზავნილია 04.06.2025წ). შესრულების ვადად განსაზღვრულია 04.06.2026
2. სკოლის მიმართვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ( წერილი N 557888 გაგზავნილია 22.05.2025წ) შესრულების ვადად განსაზღვრულია 22.05.2026 წელი.

სკოლამ დასკვნის პროექტთან ერთად წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

**რეკომენდაცია:** მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 2026 წლის 27 აგვისტომდე.

**სკოლას მიეცა რჩევა:** აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის (19.02.2019წ.) შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების წესი,რომელიც გამოკრულია ექმის კაბინეტში სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების / სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში / სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი / პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად. ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება და სასწრაფო დახმარების გამოძახება. ბავშვის მომართვის შემთხვევაში მისი გასვლა შენობიდან ხდება ექთნის ჩართულობით და დამრიგებელთან კონსულტაციით. ექთანი 2025 წლიდან არის დასაქმებული სკოლაში და შერჩეულია საკონკურსო წესით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დასაქმებულის პირადი საქმე, კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნებს. ექთანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე პასუხისმგებელია სკოლაში სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვაზეც. სამედიცნო კაბინეტში განთავსებულია: კარადა, საკაცე, ტახტი, ინსტრუმენტების თარო, წნევის აპარატი, ფონეიდოსკოპი, ლუპა, ინჰალაციის აპარატი, თერმომეტრი, სიმაღლის საზომი, სასწორი, გამათბობელი, შაქრის საზომი აპარატი, მოტეხილობის დროს დასადები არტახები და სხვა. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ყველა საშუალებებით. ოთახში არის სველი წერტილი, ხელსაბანი.ცხელი წყლის ავზი.კედელზე გამოკრულია სამედიცინო დახმარების წესი,ჰიგიენისდაცვის პროცედურის ამსახველი ინსტრუქცია ფოტოს სახით.

კაბინეტში განთავსებულია კომპიუტერი, რომლის საშუალებითაც ექთანი მონაცემებს ელექტრონული ფორმატით ამუშავებს და ჟურნალს აწარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 21.03.2022 წლის ბრძანება №41/ნ/01-23/ნ- ის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დერეფნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები. სკოლის ტერიტორიაზე წესრიგს აკონტროლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლება ხდება მხოლოდ მშობელსა და დამრიგებელს შორის თანამშრომლობით. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილებას აკონტროლებენ პასუხისმგებელი პირები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ, შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის

ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. სკოლაში გათვალისწინებულია მრჩეველთა საბჭოს ფუნქცინირება, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვას და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას. სკოლაში განსაზღვრულია მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამები, სადამრიგებლო საათი ტოლერანტობისა და ბულინგის, კიბერბულინგის საკითხების გათვალისწინებით, შენობის ორივე სართულზე, ინფორმირების მიზნით მოწყობილია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტელეფონის ნომერი, მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურეობის სამმართველოს ტელეფონის ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურის, საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო სამაშველო ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია ტექნიკური პერსონალი (ორი დამლაგებელი), რომლებიც საგაკვეთილო პროცესის დროს და მისი დამთავრების შემდეგ სისტემატიურად ზრუნავენ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე. დამლაგებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც დაწვრილებით გაწერილია მათი ვალდებულებები სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრხთოების დაცვის უზრუნველსაყოფად. სანიტარულ-ჰიგიენურ ზედამხედველობას სკოლაში ახორციელებს სკოლის ექთანი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით დავალებული აქვს აღნიშნული ფუნქციის შესრულება. პერიოდულად ხდება სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენა, სკოლას აქვს ეზო და რეკრეაციული ზონა, რომელიც მუდმივად სუფთავდება. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შენობის სანიტარული მდგომარეობა და სველი წერტილები, რომლებიც განთავსებულია

სკოლის პირველ და მეორე სართულზე 3 განყოფილებად, ასევე ორივე სართულზეა ადაპტირებული საპირფარეშო. გადამოწმების შედეგად, სკოლის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის სველ წერტილებში უმაღლეს დონეზე იყო დაცული ჰიგიენური პირობები, ყველა სველი წერტილი აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ჰიგიენის საშუალებებით, საკლასო ოთახებსა და დერეფანში განთავსებულია თავსახურიანი სანაგვე ურნა, რომელშიც განთავსებული იყო პოლიეთილენის პარკი. სკოლაში მოქმედ ყველა სასწავლო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია წყლის ონკანი, ნიჟარა, ხელსახოცების სათავსო, საპონი, ნაგვის ურნა თავდახურულ მდგომარეობაში. ყველა საჭირო ადგილას კედელზე გამოკრულია ჰიგიენური ნორმების დაცვის ინსტრუქცია ფოტოს სახით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით. მონაცემები ინახება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები". ასევე, დირექტორის ბრძანებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი. სასკოლაში მონაცემები მუშავდება როგორც ელექტრონული პლატფორმების, ასევე - ბეჭდური ფორმატით. პერსონალური მონაცემების დაცვა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის უფლებაა, შესაბამისად მონაცემთა დამუშავება მკაფიოდ რეგლამენტირებული პროცესია და სკოლა უზრუნველყოფს ყველა წევრის პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლამ წარმოაგდინა სკოლის თანამშრომელთან და მოსწავლის მშობელთან პერსონალურ მონაცემებისა და მათ გამოყენებაზე წერილობითი თანხმობის ფორმა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ გვერდზე pdps.ge ასახულია ინფორმაცია სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი/განსაზღვრული პირის შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები კანონმდებლობის შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის საქმისმწარმოებელთან შენახულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია გარეშე პირთათვის. სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო

სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამა არის ჩატვირთული. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტში მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავების სტრატეგიები და სასკოლო საზოგადოების უფლებები პერსონალური ინფორმაციის თაობაზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ და სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოების საკითხები. საბჭო იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით, მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს 2024 წლის 16 დეკემბრის N2 ოქმი;
- დამლაგებლის, დარაჯის და ექთნის ხელშეკრულებები;
- სამედიცინო დახმარების წესი
- პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და გამოყენებზე, სკოლის პერსონალთან და მოსწავლის მშობელთან გაფორმებული თანხმობის ფორმა;
- შინაგანაწესი.
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები”

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ( N 882025174326 - 12.02.2025 წელი) რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ასპინძა, სოფელი ტოლოში, 1-ლი ქუჩა 2, უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 60.09.31.044. მიწის დაზუსტებული ფართობია: 5150.00 კვ.მ, მათ შორის შენობა-ნაგებობის ფართია 935კვ.მ, სკოლა არის ორ სართულიანი, სწავლება მიმდინარეობს კლას-კაბინეტური სისტემით. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური სრულყოფილი რესურსებით. .პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი რომელიც აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსით, რბილი იატაკით, მოძრავი დაფით, კომპიუტერით, პრინტერით. პირველ სართულზეა სასადილო, მანდატურის ოთახი, დირექტორის კაბინეტი. სკოლის ბიბლიოთეკა , კომპიუტერული

ლაბორატორია, ქიმია-ბიოლოგიის, ფიზიკის ლაბორატორიები განთავსებულია მეორე სართულზე. საკლასო ოთახები აღჭირვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, სკამებით, დაფებითა და კარადებით. საკლასო ოთახებში გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, საგანმანათლებლო თვალსაჩინოებები, პოსტერები. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ფუნქციურად გამართული 10 პერსონალური კომპიუტერი, იქვეა განთავსებული ხმის გამაძლიერებელი აპარატურა. სკოლას აქვს 1 პროექტორი. სკოლაში ინტერნეტი ხელმისაწვდომია, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც რეგულირდება ეზოში აშენებული საქვაბიდან, სადაც ასევე განთავსებულია წყლის 2 ცალი 10 ტონიანი წყლის ავზი, წყლის უწყვეტად მიწოდების მიზნით. ეზოში დამონტაჟებულია გარე განათების სიტემა, მოწესრიგებულია სანიღვრე სისტემა, ეზოში დამონტაჟებულია მეხამრიდი. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები, რომელიც სამი კაბინისგან შედგება, ცალკეა განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილები ორივე სართულზე. სკოლას აქვს სრულად რეაბილიტირებული გარე და შიდა სპორტული მოედნები. შიდა სპორტულ დარბაზს აქვს გასახდელი ოთახები ცალკე გოგონებისთვის ცალკე ვაჟებისთვის. სკოლას ასევე აქვს სააქტო დარბაზი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, ასევე ვხვდებით კომპიუტერული, ქიმია-ბიოლოგიის, ფიზიკის ლაბორატორიითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დოკუმენტებს. ყველა დოკუმენტი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას ლაბორატორიებში. დოკუმენტით რეგულირებულია სკოლაში არსებული სასწავლო და სხვა დანიშნულების რესურსებით სარგებლობის პირობები, დოკუმენტით მოწესრიგებულია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების შემთხვევები. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა მატერიალური რესურსით საყოველთაო სარგებლობის შესაძლებლობას. ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა სკოლაში არსებული რესურსებზე (სკოლის ეზო, შიდა და გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული ლაბორატორია და საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა. რესურს ოთახი). ბიბლიოთეკის სივრცე იძლევა სამკითხველო დარბაზის ფუნქციით გამოყენების საშუალებას. სკოლის პირველ სართულზე ასევე არის სასადილო ოთახი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ მიირთვან საკვები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის მეორე სართულზე, ნათელ, მზიან ოთახში განთავსებულია ბიბლიოთეკა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, დირექტორის ბრძანება N30.03.06.2025. ასევე მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სკოლის წიგნადი ფონდი, მათ შორის ახალი მხატვრული ლიტერატურა, რაც სკოლას მოპოვებული აქვს სხვადასხვა სახის პროექტის ფარგლებში. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი.
წიგნებით სარგებლობის წესი და პირობები განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკაში ვხვდებით მხატვრულ, შემეცნებით, სასკოლო, სამეცნიერო, მათ შორის სხვადასხვა ენაზე გამოცემულ წიგნებს, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე. ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკარი, რომელიც აწარმოებს მასალების აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად: ბიბლიოთეკარი წიგნების გაცემასა და დაბრუნებას აღრიცხავს სპეციალურ ჟურნალში. გაკეთებული აქვს სათანადო კატალოგი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (მაგიდა, სკამები, წიგნის თაროები და კარადები, სახელმძღვანელოები, კლასგარეშე და მეთოდური ლიტერატურა). მხატვრული ლიტერატურა დალაგებულია ანბანის მიხედვით; გამოკრულია სამკითხველო სივრცეში ქცევის წესები, წიგნებს აქვს ჯიბაკები, ნომერი და ბეჭედი. მისი ფართი იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა ადგილზე ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიება.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ გარემოს: სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც ექსპლუატაციაში შევა ახალი სასწავლო წლისთვის. ლიფტი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ასვლას მეორე სართულზე სადაც განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სხვადასხვა საგნების კლას-კაბინეტები. სკოლაში არის ადაპტირებული 2 საპირფარეშო, სპორტული და სააქტო დარბაზი, ასევე რესურსოთახი და სასადილო განთავსებულია პირველ სართულზე, რაც ზრდის მათ ხელმისაწვდომობას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლაში არის შესაძლებლობა, დაინტერესების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოებამ უზრუნველყოს, მათი ნების შესაბამისად, შეხვედრების ან/და ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის, პრინტერისა და პროექტორის გამოყენებით. სკოლას აქვს ღია და დახურული ახლად გარემონტებული სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიებით სარგებლობის წესი და განრიგი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 10 პერსონალური კომპიუტერი. სკოლას აქვს ერთი პროექტორი, რომელსაც საჭიროებიდან გამომდინარე იყენებენ პედაგოგები. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი. ასევე შემუშავებულია სკოლის ციფრული განვითარების გეგმა. საკლასო ოთახებში არ ვრცელდება სკოლის ინტერნეტი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგები და მოსწავლეები იყენებენ საკუთარ მოწყობილობებს და ინტერნეტს. რესურს ოთახში, ბიბლიოთეკასა და სამედიცინო კაბინეტში არის განთავსებული ელექტრო მოწყობილობები, კომპიუტერი, პრინტერის აპარატი. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ასევე წარმოადგინა ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ პედაგოგები. სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულ კომპიუტერების გამოყენება შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს, ასევე სკოლის ნებისმიერ თანამშრომელს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ციფრული განვითარების გეგმა
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის 2025 წლის 16მასის N 20 ბრძანება, საქმისწარმოების ინსტრუქციების შესახებ. ბრძანების დანართი წარმოადგენს საქმისწარმოების მეთოდოლოგიურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს სკოლაში შემოსულ/გასულ დოკუმენტებზე, განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესით შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებსა და ტიპებს, დოკუმენტების შედგენასა და გაფორმებას. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს efloow და Eshool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები, იწარმოება და ინახება ბუღალტრული დოკუმენტაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლაში შემოსული კორესპოდენცია მუშავდება და ტარდება ელექტრონულ eflow სისტემაში. ენიჭება შემოსული დოკუმენტის ნომერი. ასევე გასულ დოკუმენტს ენიჭება გასული დოკუმენტის შესასბამისი ნომერი. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsofr Outlook, საიდანაც იგზავნება და მიიღება საჭირო ინფორმაცია. Eschool-ის სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის დირექტორის განმარტებითა და ექპერტთა ჯგუფის წევრების მიერ ვიზიტის დროს გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო მონაცემი შევსებულია სრულად, საჭიროების შემთხვევაში ხდება მონაცემების განახლება და ასახვა ელექტრონულ სისტემებში. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის 2025 წლის 16მასის N 20 ბრძანება, საქმისწარმოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 2024 წლის ანგარიშის შესახებ.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სკოლის სტრუქტურა, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და ფინანსური დოკუმენტები. ასევე სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის იყენებს Facebook, Teams და Messenger პლატფორმებს. სკოლაში განხორციელებული აქტივობების გაზიარება ხდება სკოლის Facebook გვერდზე, რომელსაც ეცნობიან მშობლები, მოსწავლეები და საზოგადოების წევრები. სკოლა საჯარო ტიპის ინფორმაციას ათავსებს სკოლის განცხადებების დაფაზე. ასევე, მშობელთა ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე - დამრიგებლების მეშვეობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისათვის იყენებს ვებ გვერდს და Facebook გვერდებს. აღნიშნულ გვერდებზე განთავსებულია სანდო და უტყუარი ინფორმაციები. სკოლის ვებ-გვერდას და სოციალური ქსელის FB გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, განხორციელებული თუ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების, შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ არის სანდო და უტყუარი. ნებისმიერი ინფორმაცია გამოქვეყნების წინ გადის ფილტრაციას, მოწმდება ფაქტის ობიექტურობა და სანდოობა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში, ძირითადად სოციალური ქსელის მეშვეობით, მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა ასევე ეფექტურად თანამშრომლობს თემთან, აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე იღებს საჭირო ინფორმაციას, რომლის გაანალიზების საფუზველზე, ზრუნავს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებ გვერდი აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სკოლის სტრუქტურა, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და ფინანსური დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია ქართულ ენაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, აღნიშნულ გვერდზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სკოლის სტრუქტურა, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და ფინანსური დოკუმენტები. განსაზღვრულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რაოდენობა, მათ შორის სსსმ მოსწავლის რიცხოვნებაც. ვებ გვერდი გვაძლევს საშუალებას დაზუსტდეს ინფორმაცია თავისუფალი ადგილების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტოლოშის საჯარო სკოლის ვებგვერდი
- სკოლის სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება) წლიურ შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსის შეძენა. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი დირექტორთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. მიმდინარე წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია 2024 წლის 16 დეკემბერს ჩატარებული სამეურვეო საბჭოს რიგით მე-4 სხდომაზე. სკოლა შესყიდვების გეგმას ადგენს წინა წლის 20 ნოემბრამდე და შესაბამისი ბრძანების თანახმად განათავსებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე. საჭიროებიდან გამომდინარე ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირებაც.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ყოველი წლის ნოემბერში ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და წარადგენს შესაბამის სამსახურთან. წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს დირექტორის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტს, საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმის

კორექტირება, თუმცა, ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს, სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი წარედგინება სამეურვეო საბჭოს წლის ბოლოს და მიღებული შედეგების გათვალისწინება ხდება მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვების გეგმა
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები, მისი უფლებები დისციპლინური დევნის შემთხვევაში. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და მის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს. რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შინაგანაწესით გათვალისწინებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. შინაგანაწესით გათვალისწინებულია უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები: მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მუხლი 17. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები. მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 20. სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მოსწავლის ქცევის კოდექსის, შინაგანაწესის, უსაფრთხოების წესებისა თუ სხვა შიდა მარეგულირებელი აქტების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას - პირველი სართულის დერეფანში. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში პირველ მშობელთა კრებაზე აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესის იმ მუხლებს, რომლებშიც მითითებულია რეგულაციის წესები. მშობელი ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები, რომლის მიხედვით სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემებს. ასევე სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის ფორმა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. იგი საჯაროა სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირთათვის. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა თვითმმართველობამ, პედაგოგიურმა და სამეურვეო საბჭოებმა. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე რჩება სკოლაში. ხელშეკრულებაში ასახულია ისეთი მუხლები, რომლებიც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვას. შინაგანაწესი გამოკრულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას - შენობის ცენტრალურ ფოიეში. დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესსა და მასში ასახულ ცვლილებებს, მოსწავლეების უფლება-მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება მშობელთა კრებებზეც. შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა ხდება დაუყონებლივ არაუგვიანეს მომდევნო მშობელთა კრებებზე. მეოთხე კლასის დასრულებისას, მოსწავლეების მშობლები მშობელთა კრებაზე იხილავენ მეორე უცხო ენის სწავლების საკითხს და ირჩევენ მე-2 უცხოურ ენას (რუსული ენა). სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს აცნობს ესგ-ით გათვალისწინებულ არჩევით საგანთა ნუსხას, მოსწავლეები საკუთარი სურვილის მიხედვით ირჩევენ სასურველ საგანს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, მეორე რჩება სკოლაში. სკოლამ ასევე წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მშობლის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლას უფლება აქვს სოციალურ ქსელში განათავსოს/ გაასაჯაროს მოსწავლის სასწავლო შემოქმედებით ღონისძიებებსა და ექსკურსიებში მონაწილეობის დამადასტურებელი/ ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი
- მშობლებთან/ კანომიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

- მშობლის თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები
- მშობელთა კრების ოქმები
- საშუალო საფეხურის მოსწავლეთა კრების ოქმები

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას 2025 წლის 28 მაისის N 24 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ვიზიტის დროს ესქპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესაბამისი დოკუმენტაცია და eschool-ის ბაზა. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2025 წლის 2 ივნისს ბრძანება N 26.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას 2025 წლის 28 მაისის N 24 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით რეგულირდება ჩასარიცხ მოსწავლეთა

რეგისტრაციის წესი, პირობები, განსაზღვრულია მოსწავლეთა რიცხოვნება კლასში, მოცემულია წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების წესი, სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვთა ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესი და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მშობლების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს: პირისპირ შეხვედრებს, სატელეფონო კომუნიკაციას, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაციას, TEAMs-ის პლატფორმასა და ელ-ჟურნალს. სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. კონკურსების, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას საქმისმწარმოებელი აწვდის დამრიგებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებულობას სხვადასხვა ფორმის გამოყენებით. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის პირველივე მშობელთა კრებაზე აცნობს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესის იმ მუხლებს, რომელშიც მითითებულია რეგულაციის წესები, მშობელი შინაგანაწესის გაცნობას ადასტურებს ხელმოწერით. სკოლას სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს არაერთი დოკუმენტი და გეგმავს ახალი სასწავლო წლიდან მეტი ინფორმაციის გასაჯაროობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად იკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, დახურულ სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, სასკოლო თემის ყოველ სუბიექტს ხელი მიუწვდება სკოლაში არსებულ რესურსებზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი,

გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა აქტიურად გეგმავს ინფორმაციის განახლებას სკოლის ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის 2025 წლის 28 მაისის N 24 ბრძანება ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ
- შინაგანაწესი;
- დირექტორის 2025 წლის 2ივნისის ბრძანება N26 მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ
- მშობელთა კრების ოქმები;

- მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 ივნისის N 26 ბრძანებით, გაწერილი და შემუშავებული /დამტკიცებულია სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი, მათ შორის სსსმ მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლა ახალი მოსწავლის კლასში ადაპტაციისათვის ახორციელებს მთელ რიგ აქტივობებს. პირველკლასელთა მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეები ათვალიერებენ სასკოლო გარემოს და ეცნობიან სხვადასხვა სივრცეების ფუნქციურ დანიშნულებას. ხდება საკლასო გარემოს საზეიმოდ მოწყობა სათანადო განწყობის შესაქმნელად, სასკოლო წესების გაცნობა. მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში კლასის დამრიგებლები ზრუნავენ და ახორციელებენ ახალი მოსწავლის მხარდამჭერ აქტივობებს, აგროვებენ ინფორმაციებს მოსწავლის ინტერესების, სუსტი და ძიერი მხარეების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 2 ივნისის N 26 ბრძანებით, სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი. აღნიშნული ბრძანება არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობას. კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მობილობის წესითა თუ პირველკლასელთა მიღების პირველივე დღეებიდან მათ აქტიურ სოციალიზაციაში. აცნობენ სასკოლო გარემოს, კლას კაბინეტებს, ბიბლიოთეკას, სკოლაში ქცევის წესებს, შინაგანაწეს და სხვას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები და მათი მშობლები სემესტრული და წლიური შეფასების შესახებ ინფორმაციას იღებენ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობითა და დამრიგებლებთან ინდივიდუალური შეხვედრებით ან სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით. ვინაიდან სკოლა მცირე კონტიგენტიანია, მასწავლებლებს საშუალება აქვთ მშობლებთან აქტიური და ეფექტური კომუნიკაციის დამყარების, სისტემატიურად ხვდებიან მშობლებს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს, იღებენ ზეპირსიტყვიერ უკუკავშრს, რაც აისახება მოსწავლის განვითარებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები დროულად აწვდიან ინფორმაციას სემესტრული/წლიური ნიშნის ამაღლების შესაძლებლობის თაობაზე. ასევე 30% გაცდენის თავიდან აცილების მიზნით, დამრიგებლები მუდმივად უწევენ მონიტორინგს მოსწავლეთა დასწრებას, საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის ინფორმირება. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განაცხადის შემთხვევაში სკოლა მზადაა უზრუნველყოს შესაბამისი ტიპის გამოცდის ჩატარება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და არაფორმალური განათლება, ამ მხრივ სკოლის მიერ ხორციელდება აქტივობები და საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა მიდრეკილებების გამოვლენას. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ფუნქიონირებს კალათბურთისა და ტექნოლოგიური კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობენ შესაბამისი საგნის მასწავლებელები. შემუშავებული აქვთ კლუბის დებულება და სამოქმედო გეგმა, რომელიც მრავალფეროვან აქტივობებს მოიცავს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა დაინტერესებულია მოსწავლეთა და მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) მოსაზრებებით, სურვილებით, ინტერესებით, საჭიროებებით, რომელთაც გაითვალისწინებს სხვადასხვა მომსახურების გაწევისას. ამისთვის სკოლამ 2024/2025 წელს ჩაატარა გამოკითხვა, რათა დაედგინა, როგორია მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. კითხვარი მოიცავდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო პროცესისა და აკადემიური რესურსების და ურთიერთობებისა და სასკოლო გარემოს შეფასებას. ასევე, გამოკითხვაში მონაწილე პირს საშუალება

ჰქონდა სკოლისთვის მიეწოდებინა შენიშვნა ან დამატებითი წინადადება. აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა. სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზის დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებასაც გეგმავს 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2025 წლის 2 ივნისის N 26 ბრძანება სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- კლუბის დოკუმენტაცია;
- სკოლის საჭიროებების კითხვარის ანკეტა;
- კვლევის საჭიროებების კითხვარის ანალიზი.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში ვიზიტის დროს, დამრიგებლებთან გასაუბრებისას დადგინდა რომ სისიტემატიურად ატარებენ სხვადსხვა ტიპის შეხვედრებს როგორც მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან, სადაც აწვდიან ინფორმაციას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის რა შესაძლებლობები არსებოსბს მათ რეგიონში, ასევე წარმოადგინეს სადამრიგებლო პროგრამა, სადაც ერთერთი საკითხად შეტანილი იყო შესაბამისი თემატიკის შეხვედრა. აღნიშნულ დუკუმენტებში ერთერთი მიმართულებაა მოსწავლის თვალსაწიერის გაფართოება, რომლის მიზანია, მოსწავლეებისათვის მომავალი პროფესიის არჩევაში დახმარების აღმოჩენა. დამრიგებლები ესაუბრებიან სხვადასხვა პროფესიების შესახებ, მართავენ დისკუსიას მოსწავლეების ჩართულობით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა, სოციალური ქსელების მეშვეობით, მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; კერძოდ: პროფესიული სასწავლებლების ჩამონათვალს, მთავარი (vet.ge) - გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის ვადებს და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლამ 2024/2025წელს ჩაატარა გამოკითხვა, რათა დაედგინა, როგორია მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. კითხვარი მოიცავდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო პროცესისა და აკადემიური რესურსების და ურთიერთობებისა და სასკოლო გარემოს შეფასებას. ასევე, გამოკითხვაში მონაწილე პირს საშუალება ჰქონდა სკოლისთვის მიეწოდებინა შენიშვნა ან დამატებითი წინადადება. აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობელებმა. სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზის დოკუმენტი, რომლის გათვალისწინებასაც გეგმავს 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის საჭიროებების კითხვარი;
- სკოლის საჭიროებების კითხვარის ანალიზი;
- სადამრიგებლო პროგრამები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, მასწავლებლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგ კურსი, იციან ინდივიდუალური გეგმის როგორც შედგენა, ისე განხორციელება, მონიტორინგი და შედეგების ანალიზი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით. სკოლა გამოხატავს სრულ მზაობას და მხარდაჭერას სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში სრულიყოფილი განათლების მიწოდების მიზნით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოება გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლის მხარდაასაჭერად, თითოეული თანამშრომელს გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა სსსმ მოსწავლესთან მიმართეაბში, ურთიერთთანამშრომლობის საფუზველზე სკოლა გამოხატავს სრულ მზაობას სსსმ მოსწავლის მომსახურებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლის ფოიეში და რესურს ოთახში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ყოფილი სსსმ მოსწავლის ნამუშევრები. ამ ეტაპზე სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- რესურს ოთახში განთავსებული რესურსები

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას დამატებითი არასავალდებულო ხასიათის ფასიანი მომსახურეობა არ გააჩნია, სკოლას არ აქვს გაცემული ფართი იჯარით სარგებლობაში.

სკოლის მოსწავლეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაშორებულია 2 კილომეტრზე მეტი მანძილით ემსახურება ტრანსპორტი, მძღოლს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მართვის მოწმობა, რომლის შემოწმებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრი. მოსწავლეეთა ტრანსპორტირება ხორციელდება 1 მიმართულებით. სკოლის დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის N 01 ბრძანებით განსაზღვრულია მოსწავლეთა ტრანსპორტირების აღრიცხვასა და ტაბელის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა ტაბელის ფორმა, რომლითაც ყოველდღიურად აღირიცხება შესრულებული მარშრუტი. ფორმა ხელმოწერილია პასუხისმგებელი პირისა და სერვისის მიმწოდებლის მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

    სკოლაში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი, ყველა განხორციელებული აქტივობა ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლის მოსწავლეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი სკოლიდან დაშორებულია 2 კილომეტრზე მეტი მანძილით ემსახურება ტრანსპორტი, მძღოლს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და მართვის მოწმობა, რომლის შემოწმებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლაში განხორცილებული ყველა ტიპის მომსახურება მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით და ემსახურება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მძღოლის ტაბელები;
- დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის N01 ბრძანება მოსწავლეთა ტრანსპორტირების აღიცხვისა და ტაბელის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ **შეესაბამება**<br>■ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ **შესაბამება**<br>■ **მეტწილად შესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შესაბამება**<br>☐ **არ შესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შესაბამება<br>■ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** | ☐ **შესაბამება**<br>■ **მეტწილად შესაბამება** |

| | |
|---|---|
| (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>■ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნა ჯგუფი სასკოლო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელმაც იმუშავა სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ეს თავისთავად ცხადყოფს, რომ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოვლენა და გათვალისწინება. ასევე, გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები სხვადასხვა ეტაპზე, როგორიცაა შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. კურიკულუმების შემუშავება ხდება, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც თითქმის ყოველდღიურად ხდება. სასწავლო წლის დასრულებისას საგნობრივი კათედრები განიხილავენ მიღწეულ შედეგს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. მასწავლებლები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, და სასკოლო კურიკულუმის მიღწევის დონე ფასდება შემოქმედებითი დავალებებით გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. ინტერვიუს დროს სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება

ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მატერიალური ბაზის გათვალისწინებთ. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. კათედრების მიერ საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმები, სადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას. კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაძლებლობების გათვალისწინებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწოდებულ უკუკავშირს. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებისაკენ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის გამოცდილება. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთახმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ასევე, აღნიშნულია, რომ კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ახალი კურიკულუმის

დაგეგმვის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები, მოსწავლეები და დირექცია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთანხმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. სკოლა 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავს ღია კარის დღის მოწყობას, სადაც მოწვეულ საზოგადოებას, მათ შორის მშობლებს, თემის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს სასკოლო კურიკულუმების დეტალურად გაცნობის საშუალება ექნებათ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტის შესაბამისია, თითოეულის განხილვისას ჩანს, რომ კათედრა მუშაობს შეთანხმებულად. მოცემული დავალებები არის საინტერესო და მრავალფეროვანი;<br><br>**რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე, თითოეულ კურიკულუმს თან ჰქონდეს დართული კონკრეტული დავალების/დავალებების სამიზენე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შემუშავებული შეფასების რუბრიკა შესაბამისი კრიტერიუმებით.<br><br>საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება; ასევე სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი ჯგუფის სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და გასაუბრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის კურიკულუმები დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებულად და მათი ინტერესების გათვალისწინებით. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ კურიკულუმის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლის ინტერესებს ასევე წინარე ცოდნას. კურიკულუმის ჩარჩოში ასევე იკითხება გრძელვადიანი, შუალედური და მოკლევადიანი მიზნებიც: ცნებების, თემების, საკითხების და კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებების სახით. გასაუბრებისას გამოთქვეს მზაობა რომ მცირე რჩევებს ამ კუთხით მომავალ სასწავლო წლიდან გაითვალისწინებენ.<br>**რჩევა :** სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში ჩანდეს მაგალითი შედარებისათვის და კონტექქტ მაგალითები. |
| უცხოური ენები | საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები, თემატური ბლოკები, კომპლექსური დავალების იდეები, სასწავლო რესურსები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო |

| | |
|---|---|
| | გეგმიდან და ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. კურიკულუმში ინტეგრირებულია სხვადასხვა სწავლების სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური ტიპის დავლებები, ინტეგრირებული გაკვეთილები, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო ) საფეხურის კურიკულუმი ხელოვნებასა და მუსიკაში ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები.გეგმა ეფუძნება საგნობრივ კომპეტენციებს, საკვანძო უნარების განვითარებას ,მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. |
| მათემატიკა | მათემატიკის კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული. ეს აისახება თემატურ მიმართულებებში, საკითხთა კლასტერებსა, შემოქმედებით/კომპლექსურ დავალებებში, საგანმანათლებლო აქტივობებსა და რესურსებში, რომლებიც მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას ემსახურება.<br><br>გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები სრულად აცნობიერებენ სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ ინსტრუმენტს. ისინი ეფექტურად მუშაობენ გრძელვადიან |

| | |
|---|---|
| | მიზნებზე და იყენებენ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებაში, არამედ მის სიღრმისეულ გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში. |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს, ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმიდან ჩანს, რომ დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა.<br><br>მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად წარმოჩინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ School.emis.ge-ს და მასში მოცემული კომპლექსური დავალებები განხორციელებული აქვთ, |

| | |
|---|---|
| | მათში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესასწავლი მასალა აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური/შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მასწავლებლებთან გასაუბრებით როგორც ჩანს, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით.<br><br>**რჩევა:** ბუნებისმეტყველების კურიკულუმში II, III, IV კლასში სასწავლო თემების გრაფაში, გაიწეროს ესგ–ში მოცემული სავალდებულო თემები, არსებული შეიცვალოს და მოერგოს სტანდარტს. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ჩანს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ფოტო-მასალიდანაც. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის კურიკულუმების მიმართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. კურიკულუმებში ჩანს ცნებები და ქვეცნებები, თემები. საკითხები და ქვესაკითხები. ასევე კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებები. რაც კავშირშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან.<br>გასაუბრებისას გამოთქვეს მზაობა რომ მცირე რჩევებს ამ კუთხით მომავალ სასწავლო წლიდან გაითვალისწინებენ. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია რომ ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმი იყოს ერთი ტიპის, ცნებები და ქვეცნები იყოს შესაბამისობაში ყველა საგნობრივ ჯგუფში. ასევე არ არის საჭირო აქტივობების განთავსება კურუკულუმის ჩარჩოში. |
| უცხოური ენები | საგნობრივი კურიკულუმები მიემართება 21-ე საუკუნის უნარებს, ესგ-ით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. წარმოდგენილი კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები, ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი ) რაც მიანიშნებს იმას, რომ სკოლას აქვს ფუნქციური უნარებისა და მაკრო ცნებების გამოცდილებაზე დაფუძნებული მზაობა. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური ტიპის დავალებები, სხვადასხვა სახის პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებაზე. მოსწავლეებს უვითარდებათ ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, ანალიზის, განსხვავებული აზრის მოსმენის, შემოქმედებითობის, თვითშეფასების, თავდაჯერებულობის უნარი. |
| ესთეტიკური აღზრდა | საგნობრივი მიზნები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, სკოლის ესთეტიკური კათედრის მიერ სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილ ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები- გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები.<br><br>**რჩევა:** დაიგეგმოს პროექტები/აქტივობები სხვა საგნებთან ინტეგრირებით |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას.<br><br>**რჩევა-** სამივე საფეხურზე კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმები, მათში სათნადოდ აისახოს და დამუშავდეს თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. |
| მათემატიკა | კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები სრულად არის გათვალისწინებული, რაც აისახება ყველა ძირითად კომპონენტში: თემები, საკითხები, შუალედური და გრძელვადიანი მიზნები, საფეხურის შედეგები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმების განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, (ძირითადად შემოქმედებითი დავალებები) რომლებიც ხელს უწყობს ფუნქციური კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა და ნებელობა.<br><br>**რჩევა**: სასურველია გადაიხედოს მე-4 კლასის კურიკულუმი და სამიზნე ცნებების განსაზღვრა მოხდეს ესგ-ს მათემატიკის სტანდარტის შესაბამისად |
| სპორტი | წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის -კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას.<br>მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში |

| | |
|---|---|
| | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს.<br><br>გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჰყავთ მცირერიცხოვანი კლასები, მათ აქვთ პროექტების განხორციელების გამოცდილება. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, თუმცა მე და საზოგადოებაში ცნებები თემებზეა გადანაწილებული (III და IV კლასი), დარღვეულია პრინციპი რომ თითოეულ თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავებაზე გაკეთდეს აქცენტი. მასწავლებლებს მიეცათ **რჩევა,** რომ საგან მე და საზოგადოების თითოეულ თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, კურიკულუმში დაკორექტირდეს და დაინერგოს პრაქტიკაშიც.<br><br>წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში, შუალედური სასწავლო მიზნები გაწერილი აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალების სახით. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, თუმცა, ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმში არცერთი შემოქმედებითი პროდუქტი არ ფიგურირებს.<br>**მიეცათ რჩევა** რომ ბუნებისმეტყველების კურიკულუმში I კლასში აისახოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები არის მრავალფეროვანი, მიზნობრივი და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი. სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით |

| | |
|---|---|
| | და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ჩანს რომ რესურსები რასაც საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები იყენებენ მიმართულია მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევაზე. რესურსები გამოირჩევა მრავალფეროვნებით: სახელმძღვანელოდან დაწყებული. ვიდეო რესურსებით, რუკებითა და წყაროებით დასრულებული.<br><br>**რჩევა:** სასურველია მასწავლებლის მიერ გაკეთებული რესურსები მეტად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში |
| უცხოური ენები | სკოლაში გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრული პლატფორმები, აუდიო-ვიდეო მასალები) სრულად უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. კათედრის მიერ წაროდგენილი კურიკულუმების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ეხმიანება თანამედროვე მიდგომებს, როგორიცაა კომუნიკაციური სწავლება (CLT) და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებლები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ რესურსებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა), რაც მიზნად ისახავს ენის პრაქტიკულ გამოყენებას |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელოვნების საგნობრივი სწავლებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები – სახელმძღვანელოები, ვიზუალური მასალები, ციფრული პლატფორმები და დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** მუსიკის სწავლებისას გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (აუდიო და ვიდეო მასალა) და აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. ასევე გამოყენებული იქნას სახელმძღვანელოებში მოცემული დამატებითი რესურსები. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს.<br><br>**რჩევა:** სასურველია, (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე მრავალფეროვანი დამხმარე ონლაინ და მატერიალური რესურსები. ონლაინ რესურსების მაგალითებია: "ტელე სკოლის" ვიდეო გაკვეთილები, "ხანის აკადემიის" გაკვეთილები და ტესტები, პროგრამა Geogebra და სხვა. iსკოლის რესურსები. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ math.ge ზე არსებულ რესურსებს, არგებენ თავიანთ მოსწავლეთა საჭიროებებს და იყენებენ ეფექტურად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სწორედ ასეთი მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს თემებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას და ცოდნის მრავალმხრივ, სიღრმისეულ ათვისებას. |
| სპორტი | სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია |

| | |
|---|---|
| | კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს, მასწავლებლები ძირითადად იყენებენ სამინისტროსთან შეთანხმებულ School.emis.ge ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე.<br><br>მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მოსწავლეებს აქვთ კომპიუტერები როგორც სკოლაში, ასევე სახლებშიც და შეუძლიათ დავალებების შეუფერხებლად შესრულება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლაში არსებული კომპიუტერით სარგებლობა გაწერილი გრაფიკითაც შეუძლიათ. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და რვეული, ასევე რამდენიმეგან მითითებულია ბმულები. გასაუბრების პროცესში პედაგოგები საუბრობდნენ იმ ელექტრონულ, ბეჭდურ თვალსაჩინო რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. მაგ. დაასახელეს ბუნებისმეტყველების სწავლებისას ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება.<br><br>მიეცათ **რჩევა** პრაქტიკაში გამოყენებული რესურსები ასახონ კურიკულუმშიც. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული, კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეარჩიოს დავალების შესრულების ფორმა. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის |

| | |
|---|---|
| | შემაჯამებელი დავალებები, არის მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრაქტიკა. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას დოკუმენტურად არ წარმოუდგენიათ, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება რომ კათედრა სასწავლო პროცესს უდგება ინკლუზიურად და იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. გასაუბრებისას აღწერეს ის მიდგომები, რომელთაც იყენებენ მოსწავლეთა ინკლუზიური მიდგომებისას. გასაუბრებისას ასვე გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს და ინტერესებს. რაც შეეხება დოკუმენტურად ამ ყველაფრის აღწერას გამოთქვეს მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან ამ საკითხის გამოსწორებისა.<br><br>**რჩევა:** სასურველია მოსწავლეთა ინკლუზიური მიდგომა გამოჩნდეს კომპლექსური ან კომპლექსური დავალებების შესრულებისას, მაგალითად ალტერნატიული დავალებით. საგაკვეთილო აქტივობები გაწერილი იყოს მცირე გეგმით |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). ჰ.ს სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლას აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სსსმ მოსწავლის ადაპტაცია სასკოლო საზოგადოებაში. |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი ესთეტიკური საგნების სწავლებისას არის ინკლუზიური. პედაგოგები სწავლების პროცესში გამოიყენებენ მიდგომებს: ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას. შუალედური მიზნის მისაღევად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რას თავისთავად გულისხმობს დიფერცირებულ მიდგომას. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია და მასწავლებლები, მოსწავლის |

| | |
|---|---|
| | საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. |
| მათემატიკა | საგნობრივი კურიკულუმი შექმნილია ისე, რომ მასში ორგანულადაა ინტეგრირებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. შემოქმედებითი / კომპლექსური დავალებების პირობები, კრიტერიუმები და აქტივობები მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. ეს სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, თანაბრად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და განავითარონ საკუთარი პოტენციალი.<br>დავალებების ნიმუშები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, ინდივიდუალური ინტერესებისა და მზაობის გათვალისწინებით.<br><br>პედაგოგების უკუკავშირით დასტურდება, რომ მასწავლებლები აქტიურად აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, აგროვებენ მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე აფასებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს. და უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას. |
| სპორტი | მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.<br>მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან. |
| ტექნოლოგიები | ინტერვიუს დროს კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ და მოსწავლეებთან იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კარგად არ ჩანს, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეებს აძლევს არჩევანის საშუალებას, ანუ |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლები თუ ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, რაზეც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამას პრაქტიკულად ახორციელებენ და შესაბამის ჩასწორებებს კურიკულუმებშიც შეიტანენ. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას, დავალებები და მათზე მუშაობის პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინტერესს, პედაგოგებმა გასაუბრებაზეც აღნიშნეს რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, კლასში 2–3 მოსწავლეა რაც საფუძვლიანი დიფერენცირების საშუალებას იძლევა. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და მის შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმნტაციით და გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის შეფასების სისტემა მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებთან. სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას სამ კომპონენტში. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რომლებიც მეტ ნაკლებადაა მორგებული სამიზნე ცნებებს. განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. განმსაზღველი შეფასების რუბრიკა სამოქალაქო განათლებაში სრულადაა მორგებული სამიზნე ცნებებს და გასაუბრებისას კათედრამ გამოთქვა მზაობა რომ უკეთ შეისწავლიან საკითხს, ითანამშრომლებენ კოლეგებთან და |

| | |
|---|---|
| | მომავალი სასწავლო წლიდან უკეთ მოარგებენ შეფასების რუბრიკებს ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br><br>**რჩევა:** სასურველია რომ, ყველა კლასის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგანებში განმავითარებელი და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკები სრულად იყოს მორგებული კონკრეტული საგნის სამიზნე ცნებებს. |
| უცხოური ენები | სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს რომ  სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს; ასევე პედაგოგები ახორციელებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.<br><br>**რჩევა:** სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. |
| ესთეტიკური აღზრდა | მოსწავლეთა შეფასების სისტემა ესთეტიკური საგნების სწავლებისას სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო ) საფეხურზე ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, სწავლების პროცესში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ფორმა: მასწავლებლის უკუკავშირი, ნამუშევრების ანალიზი, ესსე, პრეზენტაცია და ა.შ .<br>**რჩევა:** ესთეტიკური აღზრდის  კათედრის სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ დაწყებით და საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში განსახორციელებელი ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი  და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კრიტერიუმები დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში; |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები, თუმცა წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია.<br><br>**რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სამივე საფეხურზე გამოკვეთეთ მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს. |
| მათემატიკა | მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები.<br><br>კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას და მოსწავლის პროგრესის დიაგნოსტირებას. შემოქმედებითი დავალებების შესაფასებლად გამოიყენება სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკები. რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, აღწეროს შესრულებული სამუშაო, და შეაფასოს წარმოდგენილი ნაშრომი. წარმოდგენილია ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ასახავს ესგ-ის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, თუმცა ზოგიერთ შეფასების რუბრიკაში ეს მკაფიოდ არ ჩანს.<br><br>მასწავლებლების უკუკავშირით დასტურდება, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მათ ეხმარება მოსწავლეების მიღწევის დონის განსაზღვრაში და მათი შედეგების დიაგნოსტირებაში. ამის საფუძველზე კი ხდება მოსწავლის პროგრესის გზის დაგეგმვა.<br><br>**რჩევა:** შეფასების რუბრიკების შექმნისას სასურველია მასწავლებლებმა აქტიურად გამოიყენონ ესგ-ის საგნობრივი მიზნები, როგორც სახელმძღვანელო სწავლებისას და შეფასებისას. ასევე თითოეული სასწავლო ერთეულის, გაკვეთილისა და დავალების დაგეგმვისას მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, ესგ-ის რომელ კონკრეტულ მიზნებსა და |

| | |
|---|---|
| | შედეგებზე მუშაობს მოსწავლე. შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. |
| სპორტი | მასწავლებლები იყენებენ სიტყვიერ შეფასებს ფორმებს. ისინი საგაკვეთილო პროცესში აქტიურად ახორციელებენ მოსწავლეების შეფასებას და უკუკავშირს. ვინაიდან და რადგანაც სკოლაში მცირე კონტიგენტია მარტივია მშობლებთან კომუნიკაციაც და ხშირად აცნობენ ბავშვების შესახებ ინფორმაციას მშობლებს. |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ცნებებზე და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შეესაბამებიან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს გრძელვადიანი მიზნის მიღწევა. გასაუბრებისას გაიცა რჩევა, ბუნებისმეტყველებაში შეფასების რუბრიკები სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და შექმნის პროცესში ჩართონ მოსწავლეები. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით; შემოქმედებითი /შემაჯამებელი

დავალებების ნიმუშები და ეტაპები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმი; ლაბორატორიის ამსახველი ფოტო - მასალა;

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** თვითშეფასების კითხვარი; საგნობრივი კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; კათედის ოქმები.

**უცხოური ენები:** საგნობრივი კურიკულუმები; შემაჯამებლის ანალიზი; კათედრის სამოქმედო გეგმა; შეფასების რუბრიკები; მშობელთა კრების ოქმი; უცხო ენების კათედრის ოქმი; ბრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ; სასკოლო სასწავლო გეგმა; პედაგოგიური საბჭოს ოქმი -კურიკულუმების შემუშავება; მოსწავლის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სასკოლო პროექტი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; რემედიაცია; ინტერვიუ; ისგ ფორმის შევსების ინსტრუქცია; ისგ ფორმა; სასკოლო კლუბის დებულება; მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტი; სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემის ხელშეკრულება; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; პროექტორების და ლეპტოპების შესყიდვის ხელშეკრულება; ციფრული განვითარების გეგმა.

**ესთეტიკური აღზრდა:** სკოლის  სასწავლო გეგმა 2024-2025.(დაწყებითი/საბაზო/საშუალოსაფეხური); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების  კურიკულუმები დაწყებით/საბაზო/სშუალო საფეხურზე; მუსიკის საგნის  კურიკულუმები დაწყებით / საბაზო / სშუალო საფეხურზე; კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია; შემაჯამებელი დავალების ანალიზი მუსიკაში მეხუთე კლასში; შემაჯამებელი დავალების ანალიზი  ხელოვნებაში; კათედრის სხდომის ოქმი N1, N 2 და N 3; სასწავლო პროექტი ხელოვნებაში; სასკოლო პროექტი; კურიკულუმით განხორციელებული შუალედური დავალებები ხელოვნებაში დაწყებითი საფეხური; კურიკულუმით განხორციელებული შუალედური დავალებები ხელოვნებაში საბაზო  საფეხურზე; მე-4 კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემაზე  “ მუსიკა და თავისუფალი დრო“; განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 7 კლასის  თემაზე: ,,ბუნებრივი და მექანიკური მუსიკაში’’; კოლეგების  უკუკავშური; მოსწავლეთა ნამუშევრები.

**სახელმწიფო ენა:** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმები; კათედრის სხდომის ოქმები; კათედრის სამოქმედო გეგმა; შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; პედაგოგთა რეფლექსიები; გაკვეთილის გეგმები; კოლეგების ურთიერთდასწრებისას გაკვეთილის შეფასების ფორმები; კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება-დასწრების ფურცლები; ფოტომასლა; მოსწავლეთა ნამუშევრები; თვითშფასების კითხვარი.

**მათემატიკა:** მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები; ყველა კლასის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურისათვის; შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები; პროექტი „გეომეტრიული ანბანთქება“; მოსწავლეთა ნამუშევრები, როგორც შემაჯამებელი ასევე შემოქმედებითი დავალებების; მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, რეფლექსიებით.

**სპორტი:**

**ტექნოლოგიები**: სასწავლო გეგმა; საგნობრივი კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; მოსწავლეთა ნამუშევრები.

**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** 1-4 კლასის კურიკულუმები; კათედრის სხდომის ოქმი - კურიკულუმის შეფასება და დამტკიცება, შეფასების რუბრიკის დამტკიცება; შეფასების რუბრიკები; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, წახალისებულია სასკოლო |

| | |
|---|---|
| | საზოგადოების ჩართულობა და მათთან ახალი ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, აქტიურად ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, პროექტები, კონკურსები და ა.შ. შემაჯამებელი დავალებები არის მრავალფეროვანი და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ამოცანებს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმნტაციით, ესენია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი თუ კურიკულუმები, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის კურიკულუმები შასაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და კურიკულუმის ფარგლებში მუშავდება ცნებები, თემები, საკითხები და კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებები. ეს ყველაფერი დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევრებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ კათერის წევრები თანამშრომლობენ კურუკულუმის დაგეგმვასა და მისი განხორციელების გზაზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაში. |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დადასტურდა როგორც კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზით, ისე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად. კათედრამ წარმოადგინა მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური ტიპის დავალებები, (პრეზენტაციები, ესე ) თემატური მატრიცები როგორც ინგლისურ ასევე რუსულ ენაში, ინტერვიუზე მასწავლებელებმა დეტალურად ისაუბრეს სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობების შესახებ. |
| ესთეტიკური აღზრდა | სასწავლო პროცესი სწავლების სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო ) საფეხურის ხელოვნებისა და მუსიკის საგნებში დაფუძნებულია სასკოლო კურიკულუმზე. გაკვეთილები იგეგმება თემატური ერთეულებისა და მიზნობრივი სწავლის შედეგების მიხედვით.<br>სწავლების შინაარსი შერჩეულია კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და მიზნად ისახავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მიდგომები ამ ეტაპზე სისტემურად არ გამოიყენება, პროცესი ეფექტიანად |

| | |
|---|---|
| | ეხმიანება კურიკულუმით დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სწავლების მიზნობრივობას. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი  დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ეს შესაბამისობა მათემატიკაში გამოიხატება არა მხოლოდ კურიკულუმების შინაარსში, არამედ პედაგოგების ყოველდღიურ პრაქტიკაშიც, რაც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა. სასკოლო კურიკულუმი განსაზღვრავს საგნობრივ შედეგებსა და შეფასების ინდიკატორებს, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ზუსტად იცოდნენ, რა ცოდნა და უნარები უნდა განუვითარონ მოსწავლეებს ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლაში დანერგილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც  ეფუძნება ესგ-ის შეფასების ინდიკატორებს, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას და მათი პროგრესის გზის დაგეგმვას. წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებების და პროექტების განმავითარებელი რუბრიკები, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, გააანალიზოს და შეაფასოს საკუთარი ნაშრომი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები ცოდნის კონსტრუირების სხვადასხვა საფეხურს ფარავს – დეკლარაციულიდან პირობისეულ ცოდნამდე. ამგვარად, სკოლა ქმნის სასწავლო გარემოს, სადაც ყოველი აქტივობა, დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. |
| სპორტი | სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საფეხურის სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა |

| | |
|---|---|
| | სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ. |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები, მათი ნამუშევრები. ინტეგრირებული პროექტების მასალები. სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისობიდან, ასევე მასწავლებელთა ინტერვიუდან ჩანს რომ, რომ მოსწავლეები ჩართულები არიან კურიკულუმით გაწერილ აქტივობებში და პროექტში, რაც ადასტურებს იმას რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორცილებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, დამრიგებლის ანგარიში, კათედრის ხელმძღვანელის ანგარიში, რომლითაც დასტურდება სასწავლო პროცესის წარმართვა კურიკულუმის შესაბამისად. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შინაგანაწესში აღწერილი აქვს როგორ მოხდება ადამიანური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. შინაგანაწესის მე-4 მუხლში წარმოდგენილია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადობლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი და სკოლის დირექციის რეაგირების წესი. კერძოდ, წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე დასაქმებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი

აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით და გადაუდებელი აუცილებლობის (სამედიცინო ან ოჯახური პირობები) გამო სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, შესაძლებლობისთანავე აცნობოს სკოლის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამუშაო ადგილის დატოვების შესახებ, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

სკოლაში სასწავლო წლის, არდადეგების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია როგორ შეიძლება ხდებოდეს სასკოლო კალენდარის მართვა, იმ შემთხვევაში თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა, კერძოდ, სასწავლო კვირა ხუთდღიანია, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები, ასევე ზამთრის სეზონზე დღის ხანგრძლივობის შემცირების ან უამინდობის გამო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

## 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-IV) გამოიყენება განმავითარებელი, ხოლო V-VI, VII-XII კლასებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. რუბრიკების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრების ერთობლივი ჩართულობით. წლის განმავლობაში ხდება მათი მოდიფიცირება და მორგება კონკრეტულ საჭიროებებზე. თითოეული მოსწავლისთვის წინასწარ არის ცნობილი თუ რა კრიტერიუმით შეფასდება კონკრეტული დავალების შესრულებისას. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკებით ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება გამჭირვალეა. მიუხედავად იმისა რომ წარმოდგენილი რუბრიკებით კარგად არ იკვეთება შეფასების სისტემის ვალიდურობა და სანდოობა. განსაკუთრებით ეს ეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სადაც კარგად არ ჩანს კონკრეტულად რას ითხოვს მასწავლებელი. მაგრამ გასაუბრებისას გამოჩნდა |

| | |
|---|---|
| | რომ ისინი იყენებენ სანდო და მოსწავლეზე ორიენტირებულ შეფასების სისტემას. გასაუბრებისას ასევე აღნიშნეს, რომ ბევრი მასალა გაებნათ სხვა სკოლაში გადასვლის გამო. მაგრამ გამოთქვეს მზაობა რომ მომავალი წლიდან შეფასების რუბრიკებს შექმნიან მოსწავლეზე მეტადა მორგებულს<br><br>**რჩევა:** სასურველია არსებობდეს მოსწავლის უკეთ შეფასებისათვის კონკრეტულ აქტივობებს მორგებული შეფასების რუბრიკები. ასევე სასურველია შემაჯამებელი დავალების რუბრიკები, სადაც კონკრეტული საკითხის ცოდნა გამოჩნდება ცნებასთან მიმართებით. |
| უცხოური ენები | სკოლას მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში აღწერილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების წესები. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მიღწევებს, უნარებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა,რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე შესაბამისად სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ შეფასების სისტემა სკოლაში ემყარება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, და შეფასებული კომპლექსური დავალებები. შეფასების სქემები ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგების მიხედვით არის გაწერილი. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** საბაზო და საშუალო საფეხურზე წერითი დავალების განმსაზღვრელი შეფასებისას მოსწავლეს დაუზუსტდეს ქულები კრიტერიუმების მიხედვით. |
| მათემატიკა | მათემატიკის კათედრის მიერ დანერგილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტ, სამართლიან და ეფექტურ შეფასებას. მისი ვალიდობა დასტურდება იმით, რომ ის ზომავს–მოსწავლეთა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული. (წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები) სანდოობა კი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასების შედეგები თანმიმდევრულია, შეესაბამება სტანდარტის ინდიკატორებს. გამჭვირვალობა მიიღწევა შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების კომუნიკაციით, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს საშუალებას აძლევს, სრულად გაიგონ შეფასების პროცესი. მასწავლებლებმა აღნიშნეს გასაუბრებაზე, რომ შეფასების რუბრიკები გამოკრული აქვთ საკლასო ოთახებში. ეს ყოველივე განაპირობებს შეფასების ობიექტურობასაც. შეფასება კონკრეტულ, წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს ეფუძნება. შეფასების სისტემის სამართლიანობა კი გამოიხატება მის ინკლუზიურობასა და დიფერენცირებულ მიდგომებში, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. (წარმოდგენილია შეფასების როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი რუბრიკები, მოსწავლეების შემოქმედებითი დავალებების და შემაჯამებელი წერის ნიმუშები, და შედეგების ანალიზი და მასწავლებელთა რეფლექსიები)<br><br>**რჩევა:** მიუხედავად წარმოდგენილი (ზემოთ აღნიშნული) შეფასების რუბრიკებისა, ზოგიერთი რუბრიკა ზოგადია, მაგალითად: შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საბაზო და საშუალო საფეხურისთვის, სასურველია გადაიხედოს რომ შეესაბამებოდეს ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მათემატიკის სტანდარტის მიზნებსა და შეფასების ინდიკატორებს, რომ გამორიცხოს სუბიექტური / შემთხვევითი ფაქტების გავლენა. |
| სპორტი | შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მასწავლებლები ამ ეტაპზე არ ახორციელბდნენ წერილობით შეფასებას, მაგრამ აღნიშნეს რომ ელექტორნული ჟურნალის მეშვეობით გაუგზავნიან მშობლებს კომენატრის სახით, ბავშვების განმავითარებელ შეფასებებს. |
| ტექნოლოგიები | სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლებისას ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ასევე გრძელვადიან მიზნებზე მორგებული შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობს შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. მოსწავლემ ზუსტად იცის, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მისი ცოდნის შესაფასებლად, მოცემულ რუბრიკებზე დაყრდნობით მოსწავლეებს გარკვეულწილად შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სწავლის შედეგი და მიმართება გრძელვადიან სასწავლო მიზანთან. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების კონკრეტული, მიზნობრივი რუბრიკები დონეების მიხედვით გაწერილი, ასევე მოსწავლისთვის მიწოდებული განმავითარებელი კომენტარის ნიმუში და გასაუბრებისას აღწერეს თუ როგორ ახალისებენ მოსწავლეს სხვადასხვა წამახალისებლებით, აწვდიან მათ კონკრეტულ, აქტივობებზემორგებულ უკუკავშირს. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს იმას, რომ კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. |

| | |
|---|---|
| | სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად. ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს:

• მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება (სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული);

• სემესტრული/წლიური გამოცდების ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება, თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

ვერიფიკაციის დოკუმენტის თანახმად მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას კათედრების მიხედვით შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მოსწავლეთათვის გამჭვირვალე და სანდოა. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკას ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების წინ. კათედრის წევრები მუშაობენ, რათა ერთად შეიმუშაონ იმგვარი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური და ობიექტურად მოხდება თითოეული მოსწავლის შეფასება.

კათედრები ამოწმებენ, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე. კათედრის სხდომებზე განიხილება მოსწავლის ნამუშევრები, ფასდება და ანალიზდება შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით კათედრაზე ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და სემესტრული (საკლასო და საშინაო დავალებების) და შემაჯამებელი შეფასებების მიხედვით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრების პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში გამოყოფილია სივრცე / ოთახი, რომელიც იძლევა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების /ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადოდ შენახვის შესაძლებლობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** შესაბამისი საგნობრივი კურუკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით; შემოქმედებითი /შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ეტაპები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმი; ლაბორატორიის ამსახველი ფოტო - მასალა;

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** თვითშეფასების კითხვარი; საგნობრივი კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; კათედის ოქმები.

**უცხოური ენები:** საგნობრივი კურიკულუმები; შემაჯამებლის ანალიზი; კათედრის სამოქმედო გეგმა; შეფასების რუბრიკები; მშობელთა კრების ოქმი; უცხო ენების კათედრის ოქმი; ბრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ; სასკოლო სასწავლო გეგმა; პედაგოგიური საბჭოს ოქმი -კურიკულუმების შემუშავება; მოსწავლის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სასკოლო პროექტი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; რემედიაცია; ინტერვიუ; ისგ ფორმის შევსების ინსტრუქცია; ისგ ფორმა; სასკოლო კლუბის დებულება; მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების

დოკუმენტი; სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემის ხელშეკრულება; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; პროექტორების და ლეპტოპების შესყიდვის ხელშეკრულება; ციფრული განვითარების გეგმა.
**ესთეტიკური აღზრდა:** სკოლის სასწავლო გეგმა 2024-2025.(დაწყებითი/საბაზო/საშუალოსაფეხური); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები დაწყებით/საბაზო/სშუალო საფეხურზე; მუსიკის საგნის კურიკულუმები დაწყებით / საბაზო / სშუალო საფეხურზე; კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია; შემაჯამებელი დავალების ანალიზი მუსიკაში მეხუთე კლასში; შემაჯამებელი დავალების ანალიზი ხელოვნებაში; კათედრის სხდომის ოქმი N1, N 2 და N 3; სასწავლო პროექტი ხელოვნებაში; სასკოლო პროექტი; კურიკულუმით განხორციელებული შუალედური დავალებები ხელოვნებაში დაწყებითი საფეხური; კურიკულუმით განხორციელებული შუალედური დავალებები ხელოვნებაში საბაზო საფეხურზე; მე-4 კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემაზე “ მუსიკა და თავისუფალი დრო“; განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 7 კლასის თემაზე: ,,ბუნებრივი და მექანიკური მუსიკაში’’; კოლეგების უკუკავშური; მოსწავლეთა ნამუშევრები.
**სახელმწიფო ენა:** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმები; კათედრის სხდომის ოქმები; კათედრის სამოქმედო გეგმა; შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; პედაგოგთა რეფლექსიები; გაკვეთილის გეგმები; კოლეგების ურთიერთდასწრებისას გაკვეთილის შეფასების ფორმები; კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება-დასწრების ფურცლები; ფოტომასლა; მოსწავლეთა ნამუშევრები; თვითშეფასების კითხვარი.
**მათემატიკა:** მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები; ყველა კლასის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურისათვის; შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები; პროექტი „გეომეტრიული ანზანთქება“; მოსწავლეთა ნამუშევრები, როგორც შემაჯამებელი ასევე შემოქმედებითი დავალებების; მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, რეფლექსიებით.

**სპორტი:**საგნობრივი კურიკულუმები,სკოლაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა,სპორტული ინვენტარი,მასწავლებლების ურთიერთდასწრების გამოცდილება

**ტექნოლოგიები**: სასწავლო გეგმა; საგნობრივი კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; მოსწავლეთა ნამუშევრები.
**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** 1-4 კლასის კურიკულუმები; კათედრის სხდომის ოქმი - კურიკულუმის შეფასება და დამტკიცება, შეფასების რუბრიკის დამტკიცება; შეფასების რუბრიკები; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | როგორც წარდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სწავლების სამივე საფეხურზე სწავლების პროცესში გამოიყენება ის ძირითადი და დამხმარე რესურსი, რომლებიც კურიკულუმითაა განსაზღვრული. მასწავლებლები გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსს, მოდელებს, ილუსტრაციებს, დამხმარე ლიტერატურას. კონკრეტული თემის მარტივად და საინტერესოდ აღსაქმელად, ხდება ვიდეო -რგოლების ჩვენება და მათი განხილვა. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი ასევე დამხმარე რესურსებიც. ძირითადად იყენებენ ტელესკოლას. იუთუბ ვიდეოებს, სტატიებს, და პუპულარულ საგნობრივ საიტებს. მხოლოდ მე- 7კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში არ არის რესურსების ველი. გასაუბრებისას მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა რომ წლის დასაწყისში ის გასწორებული იქნება<br><br>**რჩევა:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგნისა და კლასის კურუკულუმში ასახული იყოს ძირითადი და დამხმარე რესურსების სავარაუდო ჩამონათვალი |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. პედაგოგები აქტიურად იყენებენ ძირითად სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ვიზუალურ, აუდიო და ელექტრონულ მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება |

| | |
|---|---|
| | შეესაბამება თემატური გეგმების მიზნებს და დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის გადახედვის, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლა სამივე (დაწყებით, საბაზო და საშუალო ) საფეხურის ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას იყენებს როგორც გრიფირებულ ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ დონეს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ვიზუალურად და პრაქტიკულად გამდიდრებას. ხდება კურიკულუმთან მათი სისტემური კავშირით გამოყენება. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს.დაწყებით საფეხურზე იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები, შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა**:<br><br>**დაწყებით საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესში სწავლების სამივე საფეხურზე მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმით, უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ განსაზღვრულია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების, რომლებიც კოლაბორაციაშია სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ძირითად რესურსებთან ერთად, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, აქტიურად გამოიყენება დამხმარე საშუალებები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის თვალსაჩინოება, ონლაინრესურსები და ტელესკოლის გაკვეთილები. ეს მრავალფეროვანი რესურსები ამდიდრებს სასწავლო გარემოს, ხელს უწყობს მოსწავლეთა |

| | |
|---|---|
| | ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. |
| სპორტი | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში. |
| ტექნოლოგიები | სკოლა იყენებს სამინისტროსტროსთან შეთანხმებულ ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსს https://school.emis.ge/ და სხვა დამხმარე რესურსებს, რომელბიც გაწერილი აქვს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმში, წარმოდგენილი აქვს შესაბამისი განხორციელებული პროექტები. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლებად აქვთ იშვითად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. თუმცა გასაუბრების დროს მათ ისაუბრეს იმ დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.<br><br>სკოლას მიეცა **რჩევა,** კურიკულუმის შექმნისას რესურსების გრაფაში ასახონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | ძირითადად, დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის შეხვედრაზე. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურის კურიკულუმებით ჩანს დამხმარე სასწავლო რესურსების შესაბამისობა საკითხებთან, მათი მიზნობრიობა, კავშირი საკითხებთან ცნებებთან, მიცემულ დავალებასთან და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიც გათვალისწინებულია. |
| უცხოური ენები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების გამოყენებამდე განხილვა ხდება საგნობრივ ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ დამხმარე რესურსი არის მიზნობრივი, სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები და მათი მიზნობრიობა განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო არხებიდან. |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან,სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით. |
| მათემატიკა | სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოების, თვალსაჩინოებების, ონლაინრესურსების აქტიური გამოყენება უკვე უზრუნველყოფს მათემატიკის სასწავლო პროცესის ეფექტურობას სამივე საფეხურზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებასა და განვითარებას. |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლებთან გასაუბრებაზე მათ აღნიშნეს რომ კათედრაზე ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე არჩევენ დამხმარე რესურსებს.<br><br>**რჩევა:** იმისათვის რომ დამხმარე რესურსები კიდევ უფრო მიზანმიმართულად და სინქრონულად იქნას გამოყენებული, სასურველია, მათემატიკის კათედრის წევრები შეთანხმდნენ მათი შერჩევისა და ინტეგრაციის ერთიანი ხედვის შესახებ. რაც გულისხმობს რესურსების ვალიდაციის გაძლიერებას ყოველი დამატებითი მასალა, რომელიც გამოიყენება სწავლებაში, უნდა იყოს გულდასმით შემოწმებული და დამტკიცებული. (შესაბამისობა ესგ-სთან, სიზუსტე, ასაკობრივი მორგებულობა), რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პედაგოგიური ღირებულება და ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის. |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი სასწავლო კურიკულუმები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში არის ვალიდური და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი მიზნობრივი და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი მატერიალური რესურსით, სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით ხდება, მასწავლებლები იყენებენ ასევე ონლაინ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით და გასაუბრებით ჩანს რომ სკოლა ეხლახანს იქნა რეაბილიტირებული და მომავალი წლიდან გადავლენ ახალ სივრცეში. თუმცა ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საკლასო სივრცით და მოსწავლეთა რაოდენობით, ასევე ჩანს ტექნიკური აღჭურვაც, რადგან მასწავლებლები საკმაოდ ხშირად იყენებენ ელექტრო რესურსებს. |
| უცხოური ენები | სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი სწავლებისთვის სამივე საფეხურზე გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები – სახელმძღვანელოები, ვიზუალური მასალები, ციფრული პლატფორმები და დამხმარე მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. |
| მათემატიკა | სკოლა წარმატებით უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის სრული გათვალისწინებით, რაც ქმნის ოპტიმალურ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მაქსიმალურად განავითაროს საკუთარი პოტენციალი. სწავლა სწავლების პროცესის ხელშესაწყობად სასკოლო სივრცე, აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური რესურსებით |
| სპორტი | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი და შესაბამისად არ არის გაკვეთილზე მოსწავლეების გადაჭარბებული რაოდენობის პრობლემა, პირიქით მასწავლებლებს უწევთ კლასების გაერთიანება რათა რაოდნეობა შეესაბამებოდეს სხვადასხვა სპორტის დისციპლინის მოთხოვნებს და უკეთ ჩატარდეს გაკვეთილი. |
| ტექნოლოგიები | სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტიპის კომპიუტერებით და ყველა მოსწავლეს შეუძლია მათზე მუშაობა, როგორც გაკვეთილის მიმდინარეობისას, ასევე გაკვეთილების შემდეგაც, სკოლის მიერ შედგენილი განრიგის მიხედვით, მოსწავლეებს საშუალება აქვთ საჭიროების შემთხვევაში სასკოლო კომპიუტერებზე შეასრულონ საშინაო დავალებები. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე ხსენებული დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

   სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნები.

   ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საგანებს ხელოვნებას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინგლისურს, სპორტს, ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას - დაწყებით საფეხურზე) ასწავლიდნენ უსტატუსო მასწავლებლები.სკოლამ 2025 წლის აგვისტოში გამოაცხადა ღია კონკურსი უცხო ენაში(ინგლისური ენა)ფიზიკური აღზრდა და სპორტი,სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში,თუმცა აღნიშნული კონკურსის შედეგად ვერ მოხერხდა კომპეტენტური კადრის აყვანა.სკოლას მიმდინარე წლის 4 სექტემბრიდან 10 სექტემბრამდე კვლავ გამოცხადებული აქვს ღია კონკურსი,აღნიშნულ საგნებში.რაც შეეხება ქართულ ენასა და ლიტერატურას,მათემატიკას,ბუნებისმეტყველებას- 2025-2026 სასწავლო წლისთვის ასწავლიან შესაბამისი საგნის სერთიფიცირებული მასწავლებლები, საათების შიდა გადანაწილების საფუძველზე,ხოლო ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლებას განაგრძობს მასწავლებელი,რომელმაც საგნობრივი კომპეტენცია დაადასტურა 2025 წლის მასწავლებლის გამოცდაზე.

   **რეკომენდაცია:** 2026 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრის აყვანა.

   **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** შესაბამისი საგნობრივი კურუკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;

საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით; შემოქმედებითი /შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ეტაპები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით; საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმი; ლაბორატორიის ამსახველი ფოტო - მასალა;

**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** თვითშეფასების კითხვარი; საგნობრივი კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; კათედრის ოქმები.

**უცხოური ენები:** საგნობრივი კურიკულუმები; შემაჯამებლის ანალიზი; კათედრის სამოქმედო გეგმა; შეფასების რუბრიკები; მშობელთა კრების ოქმი; უცხო ენების კათედრის ოქმი; ბრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ; სასკოლო სასწავლო გეგმა; პედაგოგიური საბჭოს ოქმი -კურიკულუმების შემუშავება; მოსწავლის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სასკოლო პროექტი; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი; რემედიაცია; ინტერვიუ; ისგ ფორმის შევსების ინსტრუქცია; ისგ ფორმა; სასკოლო კლუბის დებულება; მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტი; სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემის ხელშეკრულება; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; პროექტორების და ლეპტოპების შესყიდვის ხელშეკრულება; ციფრული განვითარების გეგმა.

**ესთეტიკური აღზრდა:** სკოლის სასწავლო გეგმა 2024-2025.(დაწყებითი/საბაზო/საშუალოსაფეხური); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები დაწყებით/საბაზო/სშუალო საფეხურზე; მუსიკის საგნის კურიკულუმები დაწყებით / საბაზო / სშუალო საფეხურზე; კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია; შემაჯამებელი დავალების ანალიზი მუსიკაში მეხუთე კლასში; შემაჯამებელი დავალების ანალიზი ხელოვნებაში; კათედრის სხდომის ოქმი N1, N 2 და N 3; სასწავლო პროექტი ხელოვნებაში; სასკოლო პროექტი; კურიკულუმით განხორციელებული შუალედური დავალებები ხელოვნებაში დაწყებითი საფეხური; კურიკულუმით განხორციელებული შუალედური დავალებები ხელოვნებაში საბაზო საფეხურზე; მე-4 კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემაზე " მუსიკა და თავისუფალი დრო"; განმავითარებელი შეფასების რუბრიკა 7 კლასის თემაზე: ,,ბუნებრივი და მექანიკური მუსიკაში''; კოლეგების უკუკავშური; მოსწავლეთა ნამუშევრები.

**სახელმწიფო ენა:** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმები; კათედრის სხდომის ოქმები; კათედრის სამოქმედო გეგმა; შეფასების რუბრიკები; შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; პედაგოგთა რეფლექსიები; გაკვეთილის გეგმები; კოლეგების ურთიერთდასწრებისას გაკვეთილის შეფასების ფორმები; კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება-დასწრების ფურცლები; ფოტომასლა; მოსწავლეთა ნამუშევრები; თვითშფასების კითხვარი.

**მათემატიკა:** მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები; ყველა კლასის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სამივე საფეხურისათვის; შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები; პროექტი „გეომეტრიული ანბანთქება"; მოსწავლეთა ნამუშევრები, როგორც შემაჯამებელი ასევე შემოქმედებითი დავალებების; მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, რეფლექსიებით.

**სპორტი:**საგნობრივი კურიკულუმები,სკოლაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა,სპორტული ინვენტარი,მასწავლებლების ურთიერთდასწრების გამოცდილება

**ტექნოლოგიები**: სასწავლო გეგმა; საგნობრივი კურიკულუმები; შეფასების რუბრიკები; მოსწავლეთა ნამუშევრები.

**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** 1-4 კლასის კურიკულუმები; კათედრის სხდომის ოქმი - კურიკულუმის შეფასება და დამტკიცება, შეფასების რუბრიკის დამტკიცება; შეფასების რუბრიკები; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**
**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვლინდება, რომ მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში გადანაწილებულია ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზე, რომლებიც ახდენენ აღნიშნული საკითხის მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონიტორინგის შედეგების განხილვისას ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. გასაუბრებით კათედრის დონეზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგსა და შეფასებას მოსწავლეების შედეგების კვლევისა და მასწავლებეელთა თვითრეფლექსიის შედეგებზე დაყრდნობით მოახდენენ. ასევე შეეცდებიან ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვას. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების, შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას და კურიკულუმში შეფასებისა და მონიტორინგის მდგრადი მექანიზმის უზუნველყოფას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

   სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, ამ დოკუმენტის თანახმად, კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიამართულებით: მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებით, მასწვალებელთა პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებით და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებასთან, თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებასთან მიმართებით. გასაუბრებიდან დგინდება, რომ მოსწავლეთა მიღწევების, შედეგების ანალიზი შემდეგ მასწავლებლები განსაზღვრავენ პრობლემის მოგვარების გზებს, აღნიშნული პროცესი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და შედეგების გაუმჯობესება. ინტერვიურიების დროს მასწავლებლები აღნიშნეს, რომ განხორციელებული მონიტორინგი და შეფასების ანალიზი სამივე საფეხურზე ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთაში, რომლის საფუძველზე კათედრა შევიმუშავებს პრიორიტეტულ და გრძელვადიან მიზნებზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ მოდიფიცირებულ (გაუმჯობესებულ) კურიკულუმს.

   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას, აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები, ურთიერთთანამშრომლობა დაფუძნებულია მხარდაჭერაზე, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზსა და წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს, აანალიზებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებს თუ შემაჯამებლებს, განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;

## 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

   სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი შეფასების მექანიზმების გამოყენებით, რაც შეფასების ჰოლისტურობაზე მიუთითებს, მაგალითად, მოსწავლეთა საგნობრივი მიღწევების შედეგებზე დაყრდნობით, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენებით, რომელიც მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ყველა მოსწავლე განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით, სკოლა მათ სთავაზობს შეფასების ისეთ ფორმას, რომელიც მათ ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზეა მორგებული. მრავალფეროვანი წყაროები ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ შეფასებას, აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს. მოსწავლის შესაფასებლად იყენებენ განმსაზღვრელ, განმავითარებელ შფასებებს,

აგრეთვე მასწავლებლის დაკვირვებას, კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, მშობლისგან, თანაკლასელისგან მიღებულ ზეპირ ინფორმაციას. დაგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებლები ახორციელებენ თითოეული მოსწავლისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენასა და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასება ხორციელდება ესგ-ს შედეგების მოთხოვნის შესაბამისად, შეფასება სასწავლო პროცესის წარმართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. სკოლა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებს განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის რუბრიკებს. როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმების საშუალებით ამომწურავად ახერხებს მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასებას, აფასებს ცოდნის დონეს, გაგება-გააზრების, შეფასების, მსჯელობის, არგუმენტაციის, დასკვნების გამოტანის უნარს, ნასწავლის ტრანსფერულ და შესწავლილი მასალის სინთეზის უნარებს. შეფასებისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი მზაობა და საჭიროებები.

კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრებით, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტებითა ან პრეზენტაციებით. მასწავლებელი სწავლების პროცესში აფასებს არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებზე მუშაობას, არამედ იმასაც, როგორ ავითარებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას სხვადასხვა აქტივობაში, როგორ მუშაობს ინდივიდუალურად ან ჯგუფში. შეფასება ითვალისწინებს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობასაც, მის შესაძლებლობებს, წვდომას რესურსებზე და სხვა გარემო ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის შესრულებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შემაჯამებელი ტესტირების ანალიზი, ჩანაწერების წარმოება, წერითი სამუშაოები, ზეპირი პასუხები, დაკვირვება, პროექტული საქმიანობა და პრაქტიკული დავალებები. თითოეული მეთოდი ასახავს მოსწავლის განსხვავებულ უნარსა და შესაძლებლობას, ამიტომ მრავალფეროვანი მიდგომა ხელს უწყობს თითოეული

მოსწავლის უნიკალურობის უკეთ დანახვას. მასწავლებლები აგროვებენ მონაცემებს როგორც ფორმალური შეფასების დროს, ისე ყოველდღიურ სწავლებაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატური ერთეულების და რიგ შემთხვევაში ამ თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომელთა განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების გააზრებასა და ათვისებას, არამედ მთლიანი პროცესის შეფასებას, რომლის დროსაც ხდება დაკვირვება როგორც მოსწავლის აკადემიურ უნარებზე, აგრეთვე მის ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, სოციო-ემოციურ განწყობაზე და იმ მოქმედ ფაქტორებზე, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მთლიან პერფორმანსზე და შედეგებზე. კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები, კონტექსტ მაგალითები და პროექტები. შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ინფორმაცია რაც მოსწავლეს უკავშირდება, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა შეფასების ელემენტს. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობს დიფერენცირებული სწავლისა და შეფასების მეთოდი. მოსწავლეები ფასდება შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კომუნიკაციისა და სხვა უნარების მიხედვით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მშობლის ბარათი
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურუკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**
   სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მიმდინარე სასწავლო წელს კურიკულუმის განვითარება და მხარდაჭერა. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგები გეგმავენ საგნობრივი კურიკულუმების გადახედვას და შემდეგი თვალსაზრისით სრულყოფას.მაგალითად თემებში გაწერენ სამიზნე ცნებებს, გააკეთებენ საკითხების / საკითხთა კლასტერის სრულყოფილ ჩამონათვალს, გაწერენ შემოქმედებით დავალებებსა და რესურსებს შეიტანონ შესაბამის ველებში.
   სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესში ჩართული პირების მხრიდან მზრუნველობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას სასკოლო სივრცეში. სკოლაში შექმნილია ურთიერთდახმარების, ურთიერთპატივისცემის და სკოლაზე ზრუნვის ატმოსფერო, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო სასწავლო, შემოქმედებითი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას. სასწავლო პროცესში შექმნილ მხარდამჭერ გარემოს ადასტურებს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციები, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობა, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

   **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსგ
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: